ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

გვ.2

დადგება თუ არა მეუფე შიოს ლეგიტიმაციის საკითხი

19 ივნისიდან

ალექსანდრე იასაღაშვილი

„მგლის ბილიკი“

ქართული დეტექტივი ტომი 1

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

ხუთშაბათი, 21 ივნისი, 2018 №145 (7690) ფასი: 50 თეთრი

„წულუკიანს კახიშვილი შეცვლის“

გვ.2

ვინ აპირებს „ქართული ოცნებიდან“ გაქცევას

„ივანიშვილი ცდილობს, ყველა ცოდვა კვირიკაშვილს აჰკიდოს“

გვ.3

ბექან ნათელაშვილი: „რუს ოლიგარქს უკვე ჭორვილაც აუმხედრდა“

გვ.5

ლევან ჩაჩუა: „ბახტაძე უფრო მორჩილი პრემიერი იქნება“

„არსებობს ხალხის წინააღმდეგ რეპრესიების მოწყობის საფრთხე“

სამართალი გვ.7

ავთანდილ ხურციძე ნიუ იორკის სასამართლომ დამნაშავედ ცნო

მას 40 წლამდე ციხე ემუქრება



ზვიად დევდარიანი სასამართლოს მეორედ მიმართავს

შსს პანკისელ ბესლან წუნაშვილს ეძებს

ეკონომიკა გვ.5

მამუკა ბახტაძე: „შავ სიაში“ 630.000 ადამიანია“

გვ.6

მიხეილ გიორგაძე: „ფიტარეთს საფრთხე არ ემუქრება“

გია გაჩეჩილაძე: „დასავლურ ბაზრებზე ჩვენ მხოლოდ ეკოპროდუქტების საშუალებით შევალთ“

ISSN 1987-9385

4 მეუფე იაკობის წინააღმდეგ მიხეილ რამიშვილის სარჩელის განხილვა დაიწყება

4 პეტრე მამრაძე: „კვირიკაშვილის გადადგომა შეცდომაა“

8 20 წლის ტერორისტი ტერეზა მეის თავის მოკვეთას უპირებდა

6 5-ლარიანი მონეტის დიზაინის ესკიზზე ეროვნული ბანკი კონკურსს აცხადებს

2018, 21 თებერვალი, №145

„წულუკიანს კახიშვილი შეცვლის“

ნათია ხურცილავა

სამართლის მცოდნე, ადამიანის უფლებათა დამცველი ლია მუხაშავრია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში იუსტიციის მინისტრის 6-წლიან საქმიანობაზე საუბრობს.

– ქალბატონო ლია, როგორ ფიქრობთ, გარდამავალი მთავრობის შემდეგ ახალ მინისტრთა კაბინეტში იუსტიციის მინისტრი წულუკიანი კვლავ იქნება წარმოდგენილი?

– რა ინფორმაციაც მე ამ ეტაპისთვის მაქვს, წულუკიანი განწირულია, რომ მინისტრის სკამზე აღარ დარჩეს. სასჯელაღსრულებისა და იუსტიციის სამინისტროები ერთიანდება და ამ გაერთიანებულ უწყებას, ძალიან სასურველი იქნება, თუ კახი კახიშვილი ჩაუდგება სათავეში. რამდენადაც ვიცი, ასეც უნდა იყოს. რატომ, მაგალითად, კახიშვილი? კახიშვილმა უკვე დაგვარწმუნა, რომ გონივრულად და სანდომიანი პოლიტიკით შეუძლია იხელმძღვანელოს და გამოწვევები არ შექმნას.

ვფიქრობ, წულუკიანის დატოვებისა თუ გაშვების არგუმენტებზე საუბარი სრულიად ზედმეტია ჩვენი საზოგადოებისთვის. მთელი საზოგადოების ამოცანა ახლა ის უნდა იყოს, გაერთიანებული სამინისტროს ახალი მინისტრის მანდატი თუ რაზე იქნება ორიენტირებული და რამდენად შეძლებს ის იმ საკანონმდებლო ინიციატივების წამოწყებას, რომლებიც სამართლიანობის აღდგენის პროცესს შეუქცევადს გახდის.

საკანონმდებლო ცვლილებების გარეშე ეს უბრალოდ შეუძლებელია. წულუკიანს ეს საკანონმდებლო ინიციატივები თავის დროზე არ განუხორციელებია. შესაბამისად, სამართლიანობის აღდგენის ეტაპები ამის გარეშე ვერ მოხდებოდა.

– პარლამენტში წულუკიანმა სამართლიანობის აღდგენაზე ისაუბრა და მან თქვა, რომ მხოლოდ რამდენიმე მანქანა არ არის დაბრუნებული და ბევრი სხვა ქონებაც დაუბრუნდა მფლობელს. ეს არის რეალური არგუმენტები მის ხელში თუ საუბარია საუბრისთვის?

– შეიძლება ვიღაც შეცდომაში შევიდეს და მართლაც დაიჯეროს, რომ, მაგალითად, შოთაძეს მადლობა ეკუთვნის. მან გააკეთა ჩამონათვალი და თან დაამატა, რომ ეს ყველაფერი ძალიან მწირი რესურსით გააკეთა შოთაძემ. თუ შოთაძეს არასაკმარისი რესურსები ჰქონდა გამომძიებლებისა და პროკურორების სახით, ეს მხოლოდ მისი და იუსტიციის მინისტრის პრობლემა იყო. სწორედ მათ უნდა უზრუნველეყოთ, რომ ახალი დეპარტამენტი, რომელიც პროკურატურაში შეიქმნა, უფრო ძლიერი და შედეგიანი ყოფილიყო.

მან რამდენიმე მილიონის დაბრუნებული ქონება ჩამოთვალა, მაგრამ ალბათ 10-ჯერ მეტი არის დაუბრუნებელი. მე, მაგალითად, ასეთი საქმეები, წართმეული ქონების დაბრუნებაზე სტრასბურში მაქვს გასაჩივრებული. წულუკიანს სულ არ სჭირდებოდა იმ დეპარტამენტის შექმნა, თავად შეეძლო, მეგობრული მორიგების პროცედურის გამოყენებით ამ ადამიანებისთვის დაებრუნებინა წართმეული ქონება.

წულუკიანს რომ რეალური ნაბიჯები გადაედგა ამ მიმართულებით, ასევე რეალური რეფორმა რომ გაეტარებინა ზოგადად მართლმსაჯულების სისტემაში, ეს პრობლემები კი არ იქნებოდა და ხალხი ამ ყველაფერს კი არ გააპროტესტებდა, პირიქით, წულუკიანი ყველაზე წარმატებული მინისტრი იქნებოდა, მაგრამ მან ეს არ გააკეთა, მეტიც, პრობლემებს ჯიუტად აუარა გვერდი და თვალი დახუჭა.

არასამთავრობო სექტორის წინადადებებს მთელი ამ ხნის მანძილზე სრულ იგნორირებას უკეთებდა. ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ მან საქმე კი არ გააკეთა, პირიქით, საქმე გააფუჭა.

– სასამართლო სისტემის რეფორმასა და ტალღებზე საუბრობს ის.

– ეს ტალღები იყო თვალის ასახვევად და თვალებში ნაცრის შესაყრელად. ამ ტალღებს რომ არ მოუტანია არც ერთი ხეირიანი შედეგი, ამაზე ვსაუბრობთ ჩვენ მთელი ამ ხნის მანძილზე.

სასამართლო რეფორმის თვალსაზრისით, სამწუხაროდ, წინსვლა არ გვაქვს. მოსამართლეთა კორპუსის გაჯანსაღებისა და გაკეთილშობილების კუთხით არ გვაქვს წინსვლა. იუსტიციის უმაღლეს საბჭოში რაც ხდება, ეს სრულიად წარმოუდგენელი და გაუაზრებელია. ვინმემ შეიძლება თქვას, რა ქნას იუსტიციის სამინისტრომ, როცა ბიუჯეტი არ არის საკმარისი, მაგრამ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს რა მაღალი ტარიფებიც იყო, ზუსტად ისეთი ტარიფებია და ისევ ისე გვახდევინებენ. იუსტიციის სამინისტროს უზარმაზარი ფინანსური რესურსი აქვს ამ შემოსავლებიდან. მე ძალიან დავინტერესდებოდი ამ შემოსავლებით და ქონებრივი დეკლარაციით.

არ შემიძლია ყველაზე მყვირალა ფაქტზე არ შევჩერდე, როდესაც იუსტიციის მინისტრმა პირადად როგორი მაგალითი მისცა სასამართლოს გადაწყვეტილების უპატივცემლობის, როდესაც ორი თანამშრომლის სასამართლოს გადაწყვეტილება მათი სამუშაოზე აღდგენისა არ შეასრულა. ეს სრულიად გაუგონარი რამ არის, იუსტიციის მინისტრი, რომელიც უნდა იყოს პირველი, ვინც სასამართლოს ინტერესებს იცავს, სასამართლოს და მის გადაწყვეტილებას უბრალოდ არაფრად აგდებს.

ამიტომ, თუ „ქართულ ოცნებას“ არ შეუძლია, მას შეელიოს, დამიჯერეთ, „ქართულ ოცნებას“ მოუწევს, ხელისუფლებას შეელიოს.

– რამდენად შეიძლება, რომ მთავარი პროკურორის პოსტზე მართლაც ოპოზიციური ან ნეიტრალური კანდიდატი იყოს შერჩეული?

– არა, ამ ეტაპზე ეს ალბათ შეუძლებელია. დეპუტატ კილაძეს ვუსმენდი, რომელსაც, როგორც განათლებულ ქალს, ისე ვიცნობდი და მან თქვა, რომ არავითარი კრიზისი არ არსებობს. იმ პარლამენტის შენობის წინ, სადაც ამდენი საპროტესტო აქცია გაიმართა, გადადგა პრემიერი, მთელი მთავრობა და მაინც ჯიუტად გვეუბნებიან, არავითარი კრიზისი არ არსებობს, საიდან მოიტანეთ, ამ შემთხვევაში უკვე ნეიტრალურობაზე საუბარი ალბათ ზედმეტია.

საქმე გვაქვს სრულიად არაადეკვატურ, შეუფერებელ შეფასებებთან. სრულიად ამოვარდნილები არიან რეალობიდან.

კრიზისის ყველაზე მძაფრი გამოვლინება სწორედ ეს დროებითი თუ სამკვირიანი მთავრობაა, რომელიც პარლამენტარიზმის აბუჩად აგდებაა, კონსტიტუციის თავზე გადახევაა პარლამენტის თავმჯდომარისა და დეპუტატებისთვის.

კონსტიტუცია არ ცნობს მსგავს დროებით მთავრობებს. პროცედურა, რომელსაც ეს ორი დღეა, რაც პარლამენტი გადის, აბსოლუტურად ანტიკონსტიტუციურია. ამით თავად იჭრიან იმ ტოტს, რომელზედაც სხედან, რადგან კონსტიტუცია მათი საქმიანობის საყრდენია.

დადგება თუ არა მეუფე შიოს ლეგიტიმაციის საკითხი

შორენა მარსაგიშვილი

დღეს, 21 ივნისს, წმინდა სინოდის სხდომა გაიმართება. თეოლოგები ვარაუდობენ, რომ ეს სხდომა ხმაურიანი იქნება. მღვდელმთავრები დიდი ხანია, არ შეკრებილან, შესაბამისად, განსახილველი საკითხებიც მრავლად დაუგროვდათ.

ერთ-ერთი განსახილველი საკითხი უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობის აღიარება იქნება. უკრაინის ეკლესიამ ცოტა ხნის წინ საქართველოს საპატრიარქოს ოფიციალურად სთხოვა, აღიაროს მათი დამოუკიდებლობა. უკრაინის ეკლესია დღემდე რუსეთის საპატრიარქოს დაქვემდებარებაშია.

უკრაინელებს მიმართვა ხეირიანად არ ჰქონდათ დამთავრებული, რომ რუსეთის საპატრიარქომ თბილისში თავისი ემისარი აფრინა. მეუფე ილარიონ ალფეევი ილია II-საც შეხვდა.

თეოლოგები ვარაუდობენ, რომ ამ თემაზე საპატრიარქოში მწვავე განხილვა გაიმართება. მღვდელმთავრების ნაწილი უკრაინის დამოუკიდებლობას უჭერს მხარს. მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ რუსეთის გაღიზიანება არ ღირს.

სინოდის სხდომაზე, სავარაუდოდ, პატრიარქის მოსაყდრის სტატუსზეც იქნება მსჯელობა. თეოლოგი ლევან აბაშიძე არ გამორიცხავს, რომ მღვდელმთავრებმა პატრიარქის მოსაყდრეს,

მეუფე შიოს, სტატუსი ჩამოართვან.

– მის გადაწყვეტილებაში არის შეფარული თუ ნაკლებად შეფარული კრიტიკა, რომ საპატრიარქოში გადაწყვეტილების მიღება ხდება არა სინოდის კრების საფუძველზე, არამედ უფრო ცალმხრივად და ერთპიროვნულად. შესაძლოა, ეს საკითხი და უკრაინის საკითხიც აქ ხაზგასმულია, რომ სასურველია, რომ მსჯელობა იყოს, – აცხადებს პირველ რადიოსთან საუბარში ლევან აბაშიძე.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა, მეუფე გრიგოლმა სკანდალური განცხადება გააკეთა. ეს განცხადება გუშინ, 20 მაისს, სინოდის სხდომის წინა დღეს გასაჯაროვდა.

ეპარქიის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნებული ცნობებიდან ირკვევა, რომ მეუფე გრიგოლმა ფოთისა და ხობის ეპარქიის სასულიერო პირებთან საპატრიარქოში შექმნილი კრიზისი და პატრიარქის მოსაყდრის, მეუფე შიოს, ლეგიტიმაციის საკითხი განიხილა.

ეპარქიაში გამართულ კრებაზე მეუფე გრიგოლმა აღნიშნა, რომ დღეს სახელმწიფოც და ეკლესიაც რთულ გზას გადიან.

მეუფე გრიგოლის თქმით, საზოგადოებაში ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ეკლესიაში საქმე ცუდად არის. ფოთისა და ხობის ეპისკოპოსი იმ მიზეზებს განმარტავს, რის გამოც ასეთი ხმები ვრცელდება.

– ადამიანები არ (ან ცუდად) იცნობენ კანონიკურ სამართალს და ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულებას; ნაკლებად აცნობიერებენ წმიდა სინოდის როლს და მნიშვნელობას ეკლესიის ცხოვრებაში; არაერთი კითხვა გააჩინა საზოგადოებაში ე.წ. ციანიდის საქმემ და ეს კითხვები პასუხგაუცემელია დღემდე.

მას შემდეგ, რაც დასახელებულ იქნა კათოლიკოს-პატრიარქის თანამოსაყდრე, ეკლესია აღმოჩნდა უჩვეულო მოლოდინის რეჟიმში; ამის ლოგიკური გაგრძელებაა კულუარული თუ მედია სივრცეში გამართული საუბრები და ინტერპრეტაციები იმის შესახებ თუ ვინ იქნება მომავალი პატრიარქი, რა კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს საპატრიარქო კანდიდატი, როგორია სინოდში ძალთა გადანაწილება და ა.შ. რაც ცოცხალი პატრიარქის პირობებში, ერთი მხრივ, დიდ უხერხულობას ქმნის, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს გახლავთ ერთგვარი კანონზომიერი გამოძახილი დაწყებული პროცესისა, მით უფრო, რომ განუზომლად დიდია საკითხის სულიერი და პოლიტიკური მნიშვნელობა.

ზემოთ აღნიშნული და რიგი სხვა საკითხებისა, ამძაფრებს საზოგადოებაში არსებულ წარმოდგენებს ეკლესიაში არსებული მდგომარეობის შესახებ და იწვევს გარკვეულ წუხილსაც. ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ ეკლესია, მრევლი მუდმივად იმყოფება ერთგვარ სტრესულ მდგომარეობაში, გაურკვეველი მოლოდინის რეჟიმში. ხალხში მუდმივი ინტერესია იმის შესახებ, თუ როდის შეიკრიბება წმიდა სინოდი. ეკლესიაში მიმდინარე პროცესებს, მრავალ მიზეზთა გამო, დიდი ინტერესით და ყურადღებით აკვირდება თვით სახელმწიფოც, – ამბობს მეუფე გრიგოლი.

თავის განცხადებაში ის სინოდში არსებულ დაპირისპირებასაც შეეხო.

ბოლო დროს მღვდელმთავრები ხშირად საჯაროდ აკრიტიკებენ ერთმანეთს. ფოთისა და ხობის ეპისკოპოსი ადასტურებს, რომ რიგ საკითხებზე მღვდელმთავრებს განსხვავებული პოზიციები აქვთ. ამასთან, ამბობს, რომ სინოდში განხეთქილება მოსალოდნელი არ არის.

– სამწუხაროდ, მოარული ხმებით პერიოდულად ვრცელდება ხოლმე აზრი, თითქოს სინოდში მდგომარეობა ისეა დაძაბული, რომ ეკლესია შეიძლება განხეთქილების საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს.

წმიდა სინოდის წევრთა შორის რიგ საკითხებზე მართლაც არსებობს ურთიერთგანსხვავებული შეხედულებები სხვადასხვა თემატურ საკითხში, მაგრამ ეს სავსებით ნორმალურია და ამისთვისაც იკრიბებიან მღვდელმთავრე-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ვინ აპირებს „ქართული ოცნებიდან“ გაქცევას

შორენა მარსაგიშვილი

„ივანიშვილი ცდილობს, ყველა ცოდვა კვირიკაშვილს აჰკიდოს“

ბეჟან ნათელაშვილი: „რუს ოლიგარქს უკვე ჭორვილაც აუმხედრდა“



რა დატვირთვა აქვს დროებით მთავრობას, წავა თუ არა თეა წულუკიანი ოპოზიციაში, რა შემთხვევაში გამოაცხადებს პარლამენტი თვითლიკვიდაციას, რა დანაშაული ჩაიდინა გახარიამ, რას უნდა ველოდოთ შემოდგომაზე? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ლეიბორისტული პარტიის წევრი, ბეჟან ნათელაშვილი ესაუბრება.

ბეჟან ნათელაშვილი:

– აქამდე ლეიბორისტებს ხელისუფლებასთან დაკავშირებით პროგნოზების გაკეთება არ გვიჭირდა. „ოცნება“ ისე იქცევა, რომ ის უკვე პროგნოზსაც აღარ ექვემდებარება. ერთადერთი, რაც შეიძლება ვთქვათ, ისაა, რომ მმართველი გუნდი სერიოზულად აყირავდა.

დღეს მათთვის მართლაც მძიმე მდგომარეობაა და საკმარისია, ხალხი დაირაზმოს, რომ ივანიშვილი და მისი ბანდა ხელისუფლებიდან გაქრებიან. პოლიტიკიდან მათი გაქრობა შემოდგომაზე უნდა მოხდეს. ახლა მთავარია, ხალხის და პარტიების კონსოლიდაცია მოხდეს.

– რა საკითხზე უნდა მოხდეს პარტიების და ხალხის კონსოლიდაცია?

– ხალხს და პარტიებს არასამთავრობოებიც უნდა დაემატოს. ყველამ ერთად უნდა მოვითხოვოთ, რომ შემოდგომაზე საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებიც ჩატარდეს.

კანონმდებლობის თანახმად, ჯერ ისევ მოქმედ პრეზიდენტს ვადის ამოწურვამდე დარჩენილ დროში პარლამენტის დათხოვნის უფლება აღარ აქვს. ამ შემთხვევაში საკანონმდებლო ორგანომ უნდა გამოაცხადოს თვითლიკვიდაცია.

– დეპუტატების დიდი ნაწილი ლამის კბილებითაა ჩაფრენილი სავარძლებს. თქვენი აზრით, ესენი პარლამენტის თვითლიკვიდაციას გამოაცხადებენ?

– საზოგადოება ქუჩაში როცა გამოვა, ძალიან იოლად შეელევიან სავარძლებს და პარლამენტსაც დაშლილად გამოაცხადებენ.

– ზემოთ თქვით, რომ „ოცნება“ აყირავდა. აყირავება რაში გამოიხატება? მთავრობა რომ გადაახალისეს, ეს გაქვთ მხედველობაში?

– აყირავებულები არიან, აბა, რა არიან. აყირავებულები რომ არ იყვნენ, მთავარ პროკურორს შეელეოდნენ?! მმართველ გუნდში მყოფებმა უკვე იგრძნეს გემის რყევა და ბევრი მათგანი დატოვებს იქაურობას. ისე მოიქცევიან, როგორც ვირთხები იქცევიან გემის ჩაძირვის დროს.

– „ოცნებიდან“ ჯერ არავინ გაქცეულა.

– ჯერ არა, მაგრამ ფაქტია, რომ გასაქცევად არიან გამზადებულები.

– ეს სამზადისი რაში გამოიხატება?

– ბევრ რამეში. ისინი ძველებურად დამაჯერებლად ვეღარ საუბრობენ. ერთ დღეს ერთს ამბობენ, მეორე დღეს – მეორეს. ძალიან აჭრილები არიან და ეს ყველასთვის თვალშისაცემია. მალე ხალხის გაქცევაც დაიწყება.

პროცესების შეჩერება ახლა დროებითი, სამკვირიანი მთავრობით უნდათ, რაც არ გამოვა. ამ გადაწყვეტილებიდანაც კარგად ჩანს, რომ საქართველოში პოლიტიკა დახლის ვაჭრობით ჩანაცვლდა. სახელისუფლებო ვერტიკალში პოლიტიკა არაა და, შესაბამისად, იქ აღარც პოლიტიკოსები არიან.

პოლიტიკა რომ მოსპეს, ამიტომაც ჩამოეშალა „ოცნებას“ ყველაფერი. ერთია ბაზარი და დახლი, სადაც უნდა ივაჭრო. პოლიტიკა კი სულ სხვა რამეა და ქვეყანა შესაბამისი გამოცდილების პოლიტიკოსებმა უნდა მართონ.

თავის დროზე კომუნისტებს ჰქონდათ ასეთი ლოზუნგი – ნაპერწკლიდან აინთება ალი. ახლა ისეთი სიტუაცია, რომ ქვეყანაში ცეცხლი შეიძლება ნებისმიერი მიზეზით აგიზგიზდეს.

– ცეცხლი და ხანძრები აქამდეც არ გვაკლდა.

– მე პოლიტიკურ ცეცხლზე ვსაუბრობ და ეს ცეცხლი თუ აენთო, „ოცნების“ წევრები ერთმანეთს გაასწრებენ. სულ ერთი პატარა ნაპერწკალი აღმოჩნდა იმისთვის საკმარისი, რომ ქვეყნის პირველ პირს ბოთლი მოხვედროდა თავში.

– თქვენ კვირიკაშვილისთვის ნასროლ ბოთლზე საუბრობთ?

– დიახ. ის ჯერ კიდევ პრემიერი იყო, როცა მიტინგზე ბოთლები ესროლეს. როცა ხალხი ბოთლებს გესვრის, ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლება უკვე ჩამოიშალა.

კვირიკაშვილი ვახსენეთ და ბარელამ აქვე ვიტყვი, რომ ივანიშვილი ცდილობს, ყველა ცოდვა და შეცდომა მას დააბრალოს. უნდა, რომ ყველაფერი ექსპრემიერს გაატანოს და თავად განწმენდილმა განაგრძოს პოლიტიკური მოღვაწეობა.

ხალხი აღარც სამთავრობო ცვლილებებს აღიქვამს სერიოზულად. ბავშვებიც კი ხვდებიან, რომ პრემიერს და მინისტრებს არაფერი ეკითხება, საქართველოში გადაწყვეტილებებს შუშის სასახლეში გამაგრებული რუსი ოლიგარქი ღებულობს.

ქართველებს გვაქვს ერთი ძალიან კარგი გამოთქმა – თევზი თავიდან ყარს. „ოცნებაც“ თევზივით თავიდან ყარს. ამ გახრწნილმა თევზმა, შესაძლოა, მთელი საქართველო მოწამლოს. კატასტროფის თავიდან ასაცილებლად ეს თევზი, თავიდან დაწყებული კუდამდე დამთავრებული, უნდა მოვიშოროთ. ჩემი აზრით, თევზს საქართველოდან შემოდგომაზე გავიტანთ.

– შემოდგომამდე ალბათ კიდევ ბევრი რამე მოხდება.

– ბევრი რამე მოხდება და შეიძლება, პროტესტი შემოდგომამდე დაიწყოს. ამის ერთ-ერთმა მაპროვოცირებელი თეა წულუკიანის ცინიკური განცხადებები იქნება. ამ ადამიანმა მოახერხა ის, რომ მთელი ქვეყანა თავის წინააღმდეგ გააერთიანა.

– მის მიმართ მართლა ყველა უარყოფითად არის განწყობილი. „ოცნება“ და ივანიშვილი მას რატომღაც ვერ ელევიან.

– „ოცნებას“ არავინ არაფერს ეკითხება. რაც შეეხება ივანიშვილს, მას ალბათ უნდა კიდევაც წულუკიანის მოშორება, მაგრამ ამ ნაბიჯის გადადგმას ვერ ბედავს.

– ასეთი გავლენიანია წულუკიანი, რომ ივანიშვილიც კი ვერაფერს უბედავს?

– მოდით, ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ – წულუკიანმა „ოცნების“ ლიდერზე ძალიან ბევრი რამე იცის.

– ასეთი რა ინფორმაცია აქვს, რომ ხელს ვერ კიდებენ?

– მან ისეთი რამეები იცის, რისი გაჟღერებაც ივანიშვილის ინტერესებში არ არის. არ გამოვრიცხავ, რომ ქალბატონი თეა ბატონ ბიძინას ამ ინფორმაციებით აშანტაჟებდეს.

– ეს ნიშნავს თუ არა იმას, რომ სანამ ივანიშვილი მართავს ქვეყანას, წულუკიანი იქნება მინისტრი?

– ხალხის რეაქციას დააკვირდებიან. საზოგადოება თუ ამას გააპროტესტებს, ივანიშვილი და წულუკიანი რაღაცაზე მორიგდებიან. ქალბატონი რამე შეთავაზებას მიიღებს და მინისტრის პოსტს დატოვებს.

– მთავრობიდან წამოსულები ხშირად ოპოზიციაში მიდიან. წავა თუ არა წულუკიანი ოპოზიციაში. რომელმაც, როგორც თქვენ თქვით, ძალიან ბევრი იცის?

– მე ეს ქალი ოპოზიციაში ვერ წარმომიდგენია. მას ოპოზიციაში წასვლა რომ სდომებოდა, ირაკლი ალასანიას გაჰყვებოდა. წულუკიანი მისი გუნდის წევრი იყო. ალასანიამ მიიყვანა „ოცნებაში“ და მისი წყალობით გახდა იუსტიციის მინისტრი. რამდენიმე წლის წინ ივანიშვილსა და ალასანიას შორის დაპირისპირება მოხდა. ალასანიამ და მისმა თანაგუნდელებმა „ოცნება“ და მინისტრის პოსტები დატოვეს, მხოლოდ წულუკიანი დარჩა თანამდებობაზე.

ოპოზიციაში არც ახლა არ წავა, ის არც ოპოზიციას სჭირდება. „პატრიოტთა ალიანსის“ გარდა, არ მეგულება პარტია, რომელიც ამ ქალს თავის რიგებში მიიღებს.

– „პატრიოტთა ალიანსმა“ რატომ უნდა მიიღოს თავის რიგებში, ეს პარტიაც ოპოზიციური პარტიაა.

– საქმეც ეგაა, რომ აღარ არის ოპოზიციური პარტია. ადრე თუ ვინმეს ამაში ეჭვი ეპარებოდა, ბორჯომის საკრებულოში მომხდარი ამბების შემდეგ, ყველა დარწმუნდა.

ბორჯომის საკრებულო ერთადერთი იყო საქართველოში, სადაც ოპოზიცია უმრავლესობაში იყო. საკრებულოს თავმჯდომარედაც ოპოზიციონერი იყო. ეს ადამიანები არ დაეთანხმნენ ბორჯომის მერიის მოთხოვნას და ჩინოსნებს ხელფასები არ გაუზარდეს. ეს ბრძოლა რამდენიმე თვე გაგრძელდა, მერე „პატრიოტთა ალიანსი“ მიეყიდა ხელისუფლებას და მერიის ჩინოსნებმა ხელფასები გაიზარდეს.

ამის შემდეგ „პატრიოტთა ალიანსს“ აღარ აქვს უფლება თქვას, რომ ოპოზიციური პარტიაა. წულუკიანი თანამდებობას თუ დატოვებს, ამ პარტიაში დაპატიჟებენ ალბათ.

გითხარით, რომ „ოცნება“ პროგნოზებსაც აღარ ექვემდებარება, მაგრამ ერთი პროგნოზის გაკეთებას მაინც გავრისკავ – ხალხის დასაწყნარებლად ივანიშვილი წულუკიანს გაუშვებს, რაც ხალხს არ დააწყნარებს.

– რატომ არ დააწყნარებს? თავად არ ამბობთ, ოპოზიცია, არასამთავრობოები და ხალხი თავის წინააღმდეგ გააერთიანაო.

– კი ბატონო, ყველა მის გადადგომას ითხოვს, მაგრამ მარტო მისი წასვლა საკმარისი არ იქნება. ეს თუ წავიდა და გიორგი გახარია დარჩა, არ იქნება ქვეყნის საქმე კარგად.

– გახარიას დარჩენა რატომ იქნება ცუდი?

– ამ ადამიანთან მიმართებაში ისედაც სერიოზული კითხვები იყო. იგივე ხორავას ქუჩის ინციდენტთან დაკავშირებით. ამ სისხლიანი საქმის გამოძიება თავიდან მისმა უწყებამ დაიწყო და, როგორც ირკვევა, მტკიცებულებების გაყალბებას შსს-ს შენობაში ჩაეყარა საფუძველი.

გაყალბება გააგრძელა მთავარმა პროკურატურამ, რასაც შვილმოკლული მამების პროტესტი მოჰყვა. მთავარი პროკურორი გადადგა, გახარია კი მშრალად გამოძვრა ამ სიტუაციიდან.

ხალხი აქამდეც ითხოვდა მის გადადგომას, მაგრამ ამჯერად საზოგადოებას კიდევ უფრო მეტი მიზეზი აქვს ამ მოთხოვნის დასაყენებლად. ამ დღეებში გახარიამ თავისი ნამდვილი სახე გამოაჩინა და მინდა გითხრათ, რომ ეს სახე ქვეყნისთვის ძალიან საშიშია.

– რას გულისხმობთ?

– მთავრობის წევრები ამ დღეებში პარლამენტში მართავდნენ შეხვედრებს. ამ ფორმატში ნაციონალურ მოძრაობასაც შეხვდნენ, სადაც დეპუტატმა ნიკა მელიამ მას სერიოზული და არგუმენტირებული პრეტენზიები წაუყენა.

11 ივნისს შსს-ს მაღალჩინოსნებმა ნიკა მელია რუსთაველის გამზირიდან გაიტაცეს. მან ეს მოძალადეები გახარიას დაუსახელა. დეპუტატს იმუნიტეტი აქვს და მასთან ასე მოქცევა არ შეიძლება. გახარიას ხალხი როგორ მოიქცა? დეპუტატი მანქანაში ჩატენა და გაიტაცა.

– გახარიამ თქვა, რომ ეს არ იყო გატაცება. მინისტრი ამტკიცებს, რომ მელია განარიდეს.

– დეპუტატს იმუნიტეტი აქვს და არც მისი განრიდება შეიძლებოდა.

– გახარიას განმარტებით, დეპუტატი კანონს არღვევდა და ამიტომაც მოხდა მისი განრიდება.

– კანონს თუ არღვევდა, მიემართა პარლამენტისთვის და მოეთხოვა მისთვის იმუნიტეტის მოხსნა. კანონის დამრღვევს გატაცებით არ სჯიან. შეეძლოთ ის ადმინისტრაციული წესით დაეჯარიმებინათ. გახარიამ ძალიან კარგად იცოდა, რაც მოჰყვებოდა ამას, მაგრამ შეგნებულად მოიქცა ასე.

– რას გულისხმობთ?

– მელიას გატაცებით მან ყველა ის ადამიანი გააფრთხილა, ვინც პროტესტის გამოთქმას აპირებს. შსს-მ ასეთი მესიჯი გაუგზავნა ხალხს – ხომ ნახეთ, დეპუტატს რა ვუქენით, თქვენ უარესი მოგივათ.

ეს ამბავი ასე არ ჩაივლის. დეპუტატის გატაცების შესახებ ინფორმაციას მიიღებს დიპლომატიური კორპუსი. ივანიშვილს მასთანაც მოუწევს დამშვიდობება. არ დაემშვიდობება და არც ეგ იქნება დიდი ტრაგედია, შემოდგომაზე მთელი „ოცნება“ მაინც მიდის ხელისუფლებიდან და გახარიასაც გაიყოლებენ.

– თქვენი საუბრიდან ჩანს, რომ შემოდგომაზე დიდ იმედებს ამყარებთ.

– შემოდგომაზე კი არა, ხალხზე ვამყარებ იმედებს. საზოგადოება გამოფხიზლდა და ამდენ უსამართლობას აღარ მოითმენს. შემოდგომაზე ვადამდელ არჩევნებს უნდა მივაღწიოთ და არჩევნებით გავუშვათ ესენი. ივანიშვილის ატანა მის მშობლიურ სოფელშიც აღარ აქვთ.

– ჭორვილაში ველარ იტანენ ივანიშვილს? ცოტა დაუჯერებელია.

– არ არის დაუჯერებელი. რამდენიმე დღის წინ ჭორვილაში მის წინააღმდეგ საპროტესტო აქცია გაიმართა. აქცია დიდი არ იყო, მაგრამ როცა მშობლიურ სოფელს აღარ უნდიხარ, უნდა წახვიდე.

დადგება თუ არა მეუფე შიოს ლეგიტიმაციის საკითხი

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ბი, რომ იმსჯელონ ამა თუ იმ აქტუალურ საკითხზე, ერთმანეთის პოზიციები დაუახლოვონ და შეაჯერონ; მაგრამ ამის საპირისპიროდ, სავსებით არაჯანსაღ მოვლენასთან გვაქვს ხოლმე საქმე, როდესაც მავანნი მზად არიან ეკლესიის და/ან პატრიარქის პერსონალურ მტრად შერაცხონ ხოლმე ადამიანი, თუ მას აქვს ეკლესიაში არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრისადმი განსხვავებული ხედვა ან პოზიცია; ასეთ შემთხვევაში აღარ დაგიდევენ არც ქრისტიანულ ეთიკას, არც კანონიკური სამართლის ნორმებს, არც სუბორდინაციას. ასეთი მიდგომები და, მით უფრო, ქმედებები პირწმიდად არის ავტორიტარული რეჟიმისთვის დამახასიათებელი მენტალობის მანიშნებელი.

ასე რომ, შიშები, ე.წ. განხეთქილების საფრთხესთან დაკავშირებით, გახლავთ უსაფუძვლო, არ ასახავს სინამდვილეს და წარმოადგენს საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ მიზანმიმართული კამპანიის ნაწილს, – მიაჩნია ფოთისა და ხობის ეპისკოპოსს.

მისივე თქმით, ჩვენი სახელმწიფოს არაკეთილმოსურნეთაგან არის მცდელობები, ქართველ ერზე ზემოქმედების უმნიშვნელოვანესი სულიერი მექანიზმები მოიპოვონ,

რათა ეკლესიაში მოვლენები ისეთნაირად განვითარდეს, რომ მისი გაკონტროლება შესაძლებელი იყოს მათი მხრიდან, ვის მიზანსაც წარმოადგენს თავისი გავლენების შენარჩუნება საქართველოზე.

– თუ ეს მოახერხეს, ნამდვილად აღარ დასჭირდებათ მათი რეკომენდაციებით დანიშნული მინისტრები (როგორც ეს XX საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში იყო!), რადგან, ასეთ შემთხვევაში, სულიერი ზემოქმედების იმ მექანიზმებით და საშუალებებით, რომლებიც ადამიანის გონებას, მის რწმენას უკავშირდება, ნებისმიერ ვითარებაში შეძლებენ ნებისმიერი მთავრობის შეცვლას, – აღნიშნავს მეუფე გრიგოლი.

მიტროპოლიტი ამბობს, რომ ჩვენ ძალიან გვჭირდება სულიერი სიფხიზლე და დიდი გონიერება.

მას იმედი აქვს, რომ არსებული კრიზისი გადაილახება და ეკლესიაში არეულობის შეტანას ვერავინ შეძლებს.

– მიუხედავად იმისა, რომ დღეს ერთგვარი კრიზისის ნიშნები იკვეთება, იმედი გვაქვს და გვჯერა, რომ დავძლევთ და გადავლახავთ ამ მდგომარეობას.

ნურავის ექნება იმის იმედი, რომ არეულობას და დაბნეულობას შემოიტანს ეკლესიაში და შეძლებს, რომ ამ დაბნეულობაში ჩვენი ქვეყნისთვის ან ჩვენი ეკლესიისთვის საზიანო გადაწყვეტილებებს მიაღწიოს, – აცხადებს ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი.

2018, 21 ოქტომბერი, №145

პეტრე მამრაძე: „კვირიკაშვილის გადადგომა შეცდომაა“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის ყოფილი წევრი პეტრე მამრაძე აცხადებს, რომ კვირიკაშვილის გადაყენება მართვის შეცდომაა.

– დღეს ასეთ კონტექსტში და ასეთი ფორმით საქართველოს პრემიერი-მინისტრის (და არა პიროვნების) გადადგომა შეცდომაა – პოლიტიკურად და ეკონომიკურად საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის საზიანოა, – აცხადებს პეტრე მამრაძე „ახალ თაობასთან“.

– ბატონო პეტრე, მოელოდით თუ არა, რომ მოვლენები ასე განვითარდებოდა, მთავრობა გადადგებოდა?

– პატრონაჟული მმართველობის პირობებში ნებისმიერ დღეს შეიძლება ნებისმიერი რამ მოხდეს. შეიძლება რაღაც ემოციური, იმპულსური გზით გადაწყდეს. ეს გამოიხატებოდა კვირიკაშვილის თუ სხვის გადადგომაში, სხვა საკითხია. მართვის სისტემა ასეთია.

– ანუ კვირიკა შვილი გადასაყენებელი ფიგურა არ იყო?

– აშკარაა შეცდომა.

– რა შეცდომა?

– სახეზეა მართვის შეცდომა – დღეს ასეთ კონტექსტში და ასეთი ფორმით საქართველოს პრემიერი-მინისტრის (და არა პიროვნების) გადადგომა შეცდომაა – პოლიტიკურად და ეკონომიკურად საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის საზიანოა. ვრცელდება ინფორმაცია, იბეჭდება ციტატები, რაც ივანიშვილმა ილაპარაკა იმ სხდომაზე, რომლის შემდეგ კვირიკაშვილი გადადგა, თან თქვა, უთანხმოება ჰქონდა ივანიშვილთან ეკონომიკური პოლიტიკის გამო.

ქუცნაშვილმა განაცხადა, ასეთი გაბრაზებული ივანიშვილი არასოდეს უნახავს. დაიბეჭდა ციტატები: ივანიშვილი ეუბნება, შენ და მამუკა ხაზარაძემ დააქციეთ ეს ქვეყანა; მეუბნები გადავდგები-გადავდგებიო და არ აკეთებ განცხადებას, უთავმოყვარეო კაცი ხარ, გიორგი. ახლა გინდა გადადექი, გინდა – არაო. ამ ინფორმაციის სისწორეს ვერც უარვყოფ და ვერც დავადასტურებ. დაიწერა, დაპირისპირება იყო ანაკლიის პორტის გამო და ამიტომ ივანიშვილი ძალიან იყო გაბრაზებულიო.

– ივანიშვილი ანაკლიის პორტის გამო რატომ უნდა ყოფილიყო გაბრაზებული?

– არ ვიცი. ქალაქში ვინც ამაზე ლაპარაკობს (ხაზარაძესაც ახსენებენ), ამბობს, რომ ივანიშვილმა გადაწყვეტილება უსამართლოდ, ქვეყნისთვის არამომგებიანად და პირადი ინტერესების დაკმაყოფილებად ჩათვალაო. ახლა მთავარს ვიტყვი (და მადლობელი ვიქნები თუ ინტერვიუში დაწერთ):

დავუშვათ კვირიკაშვილმა ისეთი რაღაცები ჩაიდინა, მართლაც გასაშვები იყო. ვთქვათ, გუნდშიც ეს ბევრს ესმოდა, მაგრამ როცა საუბარია სახელმწიფოს მართვაზე, ყოველთვის ფიქრობენ, როდის და რა ფორმით განხორციელდეს ცვლილება, რომ მინიმალური ზარალი მიადგეს სახელმწიფოს და მაქსიმალურად დადებითი შედეგი იყოს.

კვირიკაშვილის გადადგომა ამ ეტაპზე, ამ კონტექსტში უარყოფითი, ცუდი გზავნილი იყო ინვესტორებისა და, ზოგადად, ჩვენი დასავლელი პარტნიორებისთვის.

– რატომ?

– იმიტომ, რომ მაღალ შეფასებას აძლევდნენ საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკას. ეს ასახულია მსოფლიო ბანკის, სავალუტო ფონდის და არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის ოფიციალურ ანგარიშებში, სადაც ნათქვამია, რომ კვირიკაშვილის პოლიტიკა სწორია. ამიტომაც აქვს საქართველოს ყველაზე დიდი ეკონომიკური ზრდა მთელ რეგიონში.

– მიზეზად უფრო სოციალურ პრობლემებს რომ ასახელებდნენ, ვიდრე ეკონომიკური ზრდის ტემპს და, ზოგადად, ეკონომიკურ პოლიტიკას.

– ამას გეუბნებით. თუნდაც ყველაფერი ისე ყოფილიყო, რომ კვირიკაშვილი ნამდვილად

ყოფილიყო წასასვლელი, მაინც არ იყო სწორი მისი გადადგომა. არსებულ კონტექსტში, ამ ფონზე, ასეთი ფორმით კვირიკაშვილის გადადგომა სწორი არ იყო.

საგარეო პოლიტიკური კუთხით, ჩვენი დასავლელი პარტნიორები (სხვა გულშემატკივრები ჩვენ არ გვყავს, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობაც კი არ გვაქვს) აღიარებდნენ, რომ საქართველო არის დემოკრატიისა და თავისუფლების ოაზისი, რომ საგარეო კურსი, საქართველოს ლტოლვა ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციისაკენ სწორია.

ეს შეფასებები გაკეთდა კვირიკაშვილის გადადგომის შემდეგაც. ცნობილი მოღვაწეები გამოვიდნენ და კვირიკაშვილი ყველამ დადებითად შეაფასა. როგორი უთავმოყვარეო უნდა იყოს ხელისუფლება, რომ ოფიციალურად გაანცხადოს, ჩვენ შევიკრიბეთ იმის გამო, რომ გაეროომ თავის ანგარიშები გამოაქვეყნაო.

შენ ხარ სახელმწიფო, მის სათავეში მოსული მმართველი ჯგუფი, ყველა სტატისტიკა, მათ შორის, ისიც, რაც გაეროომ გამოიყენა, უფრო ადრე უნდა იცოდე, უფრო კარგად უნდა გქონდეს შესწავლილი ვითარება, ვიდრე ბავშვთა ფონდს. ამ დროს ამბობ, რომ მთავრობა და მთელი მმართველი გუნდი შეიკრიბა იმისათვის. რომ ბავშვთა ფონდის ანგარიში გამოქვეყნდა.

ეს რომ ვინმე უცხოელს ვუთხრა, გაიცინებს, საქართველო არ არის სახელმწიფო და ცირკს ჰგავსო. სერიოზული ციფრებია, მაგრამ რომელიმე ჩვენთაგანმა არ ვიცოდით, რომ ღარის მსყიდველობითი უნარი კლებულობს და პენსიონერები (ვისაც პენსია იოტისოდენადაც კი არ მოემატა) ღატაკდებიან? ჩვენს გაზეთებში არ წერდნენ ჩვენი ექსპერტები, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ღატაკდებაო?

ბანკებისა და მათი ზემოქმედების შესახებ არ ვიცოდით? ამას წინათ გამოქვეყნდა, რომ კერძო სექტორში მუშაკების რაოდენობა შემცირდა, საჯარო სექტორში კი გაიზარდა. ბავშვთა ფონდმა რომ გამოაქვეყნა მონაცემები, იმიტომ შეწუხდნენ? მაპატიეთ, მაგრამ ეს დარჩება პოლიტიკურ ანეკდოტად.

– რა უნდა გაეკეთებინათ?

– უნდა მომზადებულიყო სერიოზული რეფორმა, განსაკუთრებით, სამართალდამცავ სისტემაში, რაც დღემდე არ ჩანს. შემდეგ კვირიკაშვილს სადღაც სექტემბერში უნდა გადამდგარიყო და არა ახლა.

– რატომ არა ახლა?

– ახლა ნაცები და სხვები ზეიმობენ: ჩვენ მოვითხოვეთ სისტემის ჩამოშლა, პრემიერის გადაყენება და აი შედეგიო. პროკურორის გადადგომის შემდეგ მადა გაეზარდათ. სექტემბერში გამოსულიყო კვირიკაშვილი და ეთქვა, ბახტაძემ და ჩვენ ერთად ვიმუშავეთ, აგერ ვდებთ მთავრობის ახალ სტრუქტურასა და ჩვენს ახალ ხედვას, ამასთან დაკავშირებით ვაცხადებ, მე გადავდგები ჩემი თანამდებობიდან. მთავრობა პარტიამ და პარტიის მეთაურმა დააკომპლექტონ როგორც საჭიროაო. ეს იქნებოდა საერთაშორისო სტანდარტი. ხმას არავინ ამოიღებდა.

– როდესაც ბიძინა ივანიშვილი დაბრუნდა პოლიტიკაში, იმთავითვე ცხადი ხომ იყო, რომ ყველაფერი წესრიგ ში არ იყო. ყველა აღიარებდით, რომ პრობლემები იყო და იძულებული გახდა ბიძინა ივანიშვილი დაბრუნებულიყო პარტიის თავმჯდომარედ. შედეგად გადაწყვეტილებები ხომ უნდა მიეღო, აბა, რისთვის დაბრუნდა?

– იმისთვის დაბრუნდა, რომ სწორი გადაწყვეტილებები მიეღო სულ სხვა ფორმით, სექტემბერში და არა ახლა, ამ ფორმით პრემიერ-მინისტრის გადაყენებით, როდესაც კვირიკაშვილმა თავის განცხადებაში ღიად თქვა, რომ სამი თვეა ივანიშვილთან ეკონომიკურ პოლიტიკაზე შეუთანხმებლობა მაქვსო. ყველა კითხულობს, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის შემცირება უნდათ? მაშინ აღარც პენსიები იქნება, აღარც შემწეობები და ისევ ღატაკები გაღატაკდებიანო. ამას მეუბნებიან უცხოელები. ამიტომ კვირიკაშვილის ახლა გადაყენება შეცდომაა და ჩაწერეთ, რომ შეცდომაა.

– მე კი ჩავწერ, მაგრამ სხვა კითხვებიც არსებობს.

– ორი თვე რომ დარჩენილიყო კვირიკაშვილი, რამე დაშავდებოდა? ახლა ფართხა-ფურთხით ამზადებენ სამინისტროების შემცირებას. რატომ? იმიტომ, რომ იმპულსური გადაწყვეტილებებია. ზაქარია ქუცნაშვილმა თქვა, ასეთი გაბრაზებული ბიძინა ივანიშვილი არ მინახავსო. გეკითხებით, გაბრაზებული ადამიანის მიერ პოლიტიკური მართვა მოსულა?!

– მე უფრო მგონია, კვირიკა შვილი განაწყენებული იყო იმ შენიშვნების გამო, რაც გუნდთან ერთად მას მისცა ივანიშვილმა, იუკადრისა და გადადგა, თორემ ჯერ არ იყო მისი გადაყენება დაგეგმილი.

– ვიღაც-ვიღაცები მეუბნებიან, ივანიშვილს უთქვამს, სამი თვეა მეუბნები, გიორგი, ხვალ გადავდგები, ზეგ გადავდგები, რა უთავმოყვარეო ადამიანო ხარო.

– მეც წავიკითხე, ერთ-ერთ საიტზე, თითქოს მათი საუბრის მთელი სტენოგრამა იყო. თუმცა, შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ეს იყო ჟურნალისტის წარმოსახვა. ასე წარმოსახვით მეც შემიძლია დავწერო, რა დიალოგი ექნებოდათ.

– გითხარით, რა თქვა ზაქარია ქუცნაშვილმა და კიდევ (არ დაგიმალავთ) ერთმა-ორმა ადამიანმა, რომელსაც ტყუილი არასოდეს უთქვამს. ზაქარია ქუცნაშვილმა ღიად თქვა, ასეთი გაბრაზებული ბიძინა ივანიშვილი ჩემს ცხოვრებაში არ მინახავსო. ბიძინა ივანიშვილი რომ ფიცხი კაცია და გაბრაზება იცის, ამას ყველა დაგიდასტურებთ, ვისაც მასთან საქმე ჰქონია.

– ეტყობა, ზაქარია ქუცნაშვილს უყვარს შიდა საუბრების გარეთ გამოტანა. ამას წინათ თქვა, ბიძინა ივანიშვილი მე შაქარიას მეძახისო.

– შიდა საუბრებს სხვებიც გამოიტანენ. კარგი იქნებოდა, გაბრაზების ნაცვლად, გუნდში სერიოზული, საქმიანი საუბარი რომ ყოფილიყო, ყოველგვარი წყენების გარეშე ემსჯელათ. გამოდიან ბიზნესმენები და ამბობენ, ესტონური ვარიანტი მივიღეთ კვირიკაშვილის დროს, ბევრი კარგი რეფორმა დავიწყეთ, უცხოელები ამბობენ, რომ შესანიშნავი პრემიერი იყო. ახლა დაიწყება არასწორი პოლიტიკის გატარება, ჩარევები, გარკვეული მეთოდებით რაღაცების გასწორებაო. თუ ასე იქნება, ეს ეკონომიკას დაანგრევს.

– ბიძინა ივანიშვილი გაბრაზებული, რა თქმა უნდა, იქნებოდა, ბევრი არ დააკლდათ ნაციონალებს, ლამის პარლამენტ ში შევარდნენ.

– არ არის სწორი. საზოგადოებრივი ტელევიზია შესანიშნავად აჩვენებდა, ნაცებს ხალხი არ ჰყოფნიდათ და პარლამენტის წინ ხალხი არ იყო.

– რაღაც მომენტ ში მთელი საზოგადოება არ შეიკრიბა სარალიძის მხარდასაჭერად?

– არავითარი მთელი საზოგადოება, შეიკრიბნენ ნაცები და ზონდერები ზვიად კუპრავას ხელმძღვანელობით. ის ნაცები და ზონდერები იმ ადგილზე სისხლს ღვრიდნენ. თუ გნებავთ, ვნახოთ ვიდეო, ზვიად კუპრავა ხალხს როგორ სცემს დუბინკით, შემდეგ გამარჯვებული როგორ გაიხდის თავის კაპიშონს. ეს არის დიდი მარაზმი.

– საზოგადოების ნაწილი ვაკის პარკშიც ხომ შეიკრიბა?

– ვაკის პარკში ხალხი ერთხელ შეიკრიბა. ვაკის პარკში ყოველთვის შეიკრიბებიან. არასამთავრობოებს აქვთ ის ძალა, შეიკრიბონ ვაკის პარკში და თქვან, ზაზა სარალიძეს მხარს ვუჭერთო. იოტისოდენა რისკი ხელისუფლებისთვის არ ყოფილა.

– ახალი მთავრობის მოლოდინებზე მინდოდა გვესაუბრა, მაგრამ წინა მთავრობის საქმიანობის შეფასება გამოგვივიდა. ახალი მთავრობისაგან რას ელოდებით?

– ახალი მთავრობისაგან ნამდვილად არაფერს ველოდები, რადგან პატრონაჟული მმართველობა გრძელდება. მას აქვს დიდი პლუსი.

– რა პლუსი აქვს?

– საქართველოში ფინანსური ელიტებია. რომ არა ივანიშვილის ფაქტორი, ყოველდღე ისეთ რაღაცებს დააწევდნენ, გაოცდებოდით.

– რას დააწევდნენ?

– მაგალითად, ყოველდღე კანონიერ ქურდებს ჩამოიყვანდნენ და ყოველდღე ტრაპიდან გააპარებდნენ, რაც ჩვენთან იყო. ბევრ რამეს ჩაიდენდნენ. მერე გენახათ, რა იქნებოდა – ბანკების ზემოგებები და უბედურებები. მათ ივანიშვილი აკავებს და არა ენჯეოები და სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც სუსტია. მეორე მხრივ, მთავრობა, მთლიანად ხელისუფლება იყურება ივანიშვილისკენ, ეს არის ჩვენი ხაზეინო.

– ეს ხელისუფლებას რაში უშლის ხელს?

– ხაზეინმა უნდა თქვას, ვიდრე ხაზეინი არ იტყვის, არ ვიმუშავებ, ვაითუ ხაზეინს არ მოეწონოსო. ეს ნიშნავს პარალიზებას. ასე რომ, ივანიშვილის ფაქტორს ორი ძალიან საინტერესო გავლენა აქვს საქართველოს პოლიტიკასა და მმართველობაზე. ერთი უაღრესად დადებითი. ეს დადებითი გაცილებით მეტია უარყოფითზე.

ჯამურად, ძალიან დადებითი ფაქტორია. ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკოსები ივანიშვილის მიმართ ანგარიშვალდებულად თვლიან თავს და ეშინიათ, რამე რომ არ მოეწონოს, მუშტს დაარტყამს და... ბადაგონი ხომ ვერ შეახრამუნეს.

– როგორც ჩანს, ჩვენი პოლიტიკოსები ისე არიან აწყობილები, ვიღაცის შიში და მხარი თუ არ აქვთ, ისე ვერ მუშაობენ.

– მხოლოდ ჩვენთან კი არა, მსოფლიოს ქვეყნებში ასეა. მაგალითად, იგივე ბრაზილიაში. ბოლო წლებში ევროპაში კორუფციის ბრალდებით 9 პრემიერ-მინისტრი ციხეში წავიდა. ყველგან, სადაც საკმარისი არ არის ყოველდღიური მონიტორინგი და ხელისუფლების გაკონტროლების რესურსი, მოქმედებს ფორმულა: ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად. ეს ყველგან არის, სადაც არ არის კანონის უზენაესობა.

ჩვენი ბედია და მართლა ბედმა გაგვიღიმა. ბალტიის ქვეყნების გარდა, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, ცენტრალურ აზიაში, აზერბაიჯანში მოსულები არიან ბობოლები, სადაც მმართველი ყველაზე დიდი ფულს შოულობს. ბოლო მომენტამდე სომხეთში სარქსიანის კლანი იყო წამყვანი, პრეზიდენტადაც თავისი კაცი დანიშნა. მისი კლანი პოლიტიკასა და ეკონომიკაში, მთლიანად, ცდილობდა, ყველაფერი თვითონ ჰქონოდა. ხალხი აჯანყდა და სარქსიანის კლანი მოიშორა.

– ჩვენ ბედმა რატომ გაგვიღიმა?

– საქართველოში არსებობს ივანიშვილის ფაქტორი, რომელიც არასოდეს აკეთებდა ფულს საქართველოში და საქართველოს მოქალაქეების ხარჯზე. პირიქით, გარეთ ნაშოვნი 2 მილიარდი შემოიტანა და აქ დახარჯა. ეს ძალიან დიდი ბედნიერებაა. საქართველო ძალიან პატარაა, ეს ადამიანი კი ძალიან დიდი ნებისყოფისაა.

– ანუ პრემიერ-მინისტრს, რომელსაც დიდი უფლებები აქვს, თუ არაფერი ამუხრუჭებს, შეიძლება დიდი დანაშაულობები ჩაიდინოს და კვირიკა შვილი წავიდა, მაგრამ დანაშაულობები არ ჩაუდნია?

– ნურას უკაცრავად, კვირიკაშვილი ჩვენთან მუშაობდა და ვიცი. ივანიშვილს მადლობა ვუთხრათ, რომ კვირიკაშვილისნაირი ადამიანი გახადა პრემიერად. საქართველოში რომ არა ივანიშვილი, კვირიკაშვილისნაირ ადამიანს (რომელსაც დადებითად აფასებენ უცხოელები, ამერიკელები, უცხოელი ინვესტორები და სხვები) ხელისუფლებას ახლოს არავინ გააკარებდა. ჩვენ გვყავდნენ ისეთები, რომლებიც ინვესტორებს ეუბნებოდნენ, ჩვენი წილი რამდენი იქნებაო. გაიჟებული ინვესტორები უკან აღარ ბრუნდებოდნენ. გვარებს ვერ გეტყვით, მაგრამ ეს ნამდვილად ასეა.

– ახალ პრემიერზე მინდოდა გვესაუბრა. ახალი პრემიერ-მინისტრი მცირე მთავრობის კონცეფციას გვთავაზობს.

– ღმერთმა ქნას, ქმედითი იყოს. ამ ყველაფერს კარგი მოფიქრება და გააზრება უნდა.

მეუფე იაკობის წინააღმდეგ მიხეილ რამიშვილის სარჩელის განხილვა დაიწყება

მეუფე იაკობის წინააღმდეგ ადვოკატ მიხეილ რამიშვილის სარჩელის განხილვა სასამართლოში დაიწყება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ მიხეილ რამიშვილმა განუცხადა, თბილისის საქალაქო სასამართლო მის სარჩელს არსებითად განიხილავს. რამიშვილი მეუფე იაკობს იმ განცხადების გამო უჩივის, რომელიც მეუფემ ერთ-ერთ ეთერში გააკეთა და მიხეილ რამიშვილი სანდრო გირგვლიანის საქმეში, რომელზეც ის ოჯახის ადვოკატად გამოდიოდა, ჩანერგილ აგენტად მოიხსენია.

დღევანდელ სხდომაზე მოსამართლე მხარეებს სასამართლო განხილვის გარეშე მორიგებას შესთავაზებს, თუმცა, როგორც ადვოკატი ამბობს, ის არანაირ მორიგებას არ დათანხმდება.

სარჩელით მიხეილ რამიშვილი მეუფე იაკობისგან განცხადების უარყოფასა და მორალური ზიანის ანაზღაურებას ითხოვს. როგორც რამიშვილი ამბობს, ის კონკრეტულ თანხას, თუ რამდენს მოითხოვს ზიანის ასანაზღაურებლად, დღეს დაასახელებს.

ლევან ჩაჩუა: „ბახტაძე უფრო მორჩილი პრემიერი იქნება“

„არსებობს ხალხის წინააღმდეგ რეპრესიების მოწყობის საფრთხე“

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ ესაუბრა მოძრაობა „ქართული იდეის“ ლიდერ ლევან ჩაჩუას.

– დროებით მთავრობაში, რომელსაც პარლამენტმა ნდობა გამოუცხადა, ძველი მინისტრებიდან მხოლოდ ქუმსიშვილი და ჯანელიძე არ შეიყვანეს. რატომ?

– საზოგადოებას ამ ორი კაცის მიმართ არ ჰქონია განსაკუთრებული პრეტენზია. მთლიანად ხელისუფლებისადმი უკმაყოფილება დიდია. ჯანელიძე და ქუმსიშვილი გაუშვეს იმის გამო, რომ ისინი უფრო მეტად იყვნენ დაკავშირებული გადამდგარ პრემიერ კვირიკაშვილთან. მათ ადგილებზე ახალი პრემიერ-მინისტრი ბახტაძე თავის გუნდს მოიყვანს.

– ბახტაძეს საკუთარი გუნდიც ჰყავს?

– მესმის ამ შეკითხვის არსი. ბახტაძეს გუნდი ვერ ეყოლება. იქიდან გამომდინარე, რომ მამუკა ბახტაძე საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში არაფერს წარმოადგენს, იგი დამოუკიდებელ ნაბიჯებსაც ვერ გადადგამს. დამოუკიდებლობით ასეთ პირობებში არავინ გამოირჩეოდა, ბახტაძე კი უფრო მორჩილი პრემიერი იქნება. თუ მიაქციეთ ყურადღება, გადადგომისას გიორგი კვირიკაშვილმა ფუნდამენტური განსხვავებები ახსენა. მისი თქმით, პატარა-პატარა უთანხმოებების გარდა, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარესთან ფუნდამენტური დაპირისპირება აქვს. ეს ადრევე გამოჩნდა. კვირიკაშვილს ნამდვილად აქვს ფუნდამენტური განსხვავებები ივანიშვილთან.

– სად იჩინა თავი ამ განსხვავებებმა?

– სხვადასხვა დროს, პრემიერობისას კვირიკაშვილი ცდილობდა, დაეცვა ქართული ტრადიციები, არ დაპირისპირებოდა მართლმადიდებელ ეკლესიას. ეკლესიის წინააღმდეგ აღვირახსნილი კამპანია გრძელდება. ბიძინა ივანიშვილს რამდენჯერმე აქვს ნათქვამი, რომ ეკლესიაც უნდა ვაკრიტიკოთ. მისი ბრძანებით მიიღო პარლამენტმა ანტიდისკრიმინაციული კანონი. ეკლესიის წინააღმდეგ გახსნილია სერიოზული ფრონტი. მის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული არიან ისინიც, ვინც ნარკოტიკების ლეგალიზაციას მოითხოვს. ბერა ივანიშვილი ამ ხალხისგან შორს არ უნდა იყოს. ამას ის თავის კლიპებშიც გამოხატავს. კვირიკაშვილი, რომელიც აღმსარებელია და ეკლესიაში დადის, ამ აღვირახსნილ მოქმედებებში ბოლომდე ვერ ჩაეწერა.

– ადრე კვირიკაშვილიც გაგიკრიტიკებიათ.

– ეს ასეა. მათ შორის, იმისთვის გამიკრიტიკებია, რომ შარშან ხელი შეუწყო ლგბტ-პირების პერფორმანსს მთავრობის ადმინისტრაციასთან. სანახაობის მონაწილეები მიკროავტობუსებით ადგილზე თვითონ ხელისუფლებამ მიიყვანა. ისინი შეურაცხყოფდნენ ეკლესიას. კვირიკაშვილი ამას ფანჯრიდან უყურებდა. ის ამ სამარცხვინო სანახაობის მონაწილედ აქციეს, თორემ ეკლესიის ლანძღვა მისთვის მოსაწონი ვერ იქნებოდა.

გარკვეული ხნის წინ კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე წუხილით თქვა, რომ ღამის კლუბებში პროსტიტუცია ყვავის. მაშინაც მოდებული იყო პროსტიტუცია ბავშვების მონაწილეობით და ნარკომანია. სამწუხაროდ, კვირიკაშვილის მაშინდელი განცხადება დარჩა ხმად მღაღადებლისა. ნარკომანიას ჩვენი გენოფონდი ეწირება. გახარიას მინისტრობისას ჩატარდა სპეცოპერაცია ღამის კლუბებში, გავიდა ცოტა ხანი და ჩვენ ახლაც ვდგავართ საშინელი ფაქტების წინაშე. ე.წ. „კლუბურ ნარკოტიკებს“ კიდევ ერთი ახალგაზრდა შეეწირა, მეორე კი მძიმედაა.

საკმარისია, მანქანით ღამით გაიარო ქალაქის ქუჩებში, რომ დარწმუნდე – პროსტიტუციისა და ნარკოტიკებით ვაჭრობის მასშტაბები არ მცირდება. ღამის კლუბებში იგივე სიტუაციაა.

– ეს ხელისუფლებამ არ იცის?

– ამ ბინძურ ვაიბიზნესს მფარველები რომ არ ჰყავდეს ხელისუფლებაში, აქამდე ალაგმავდნენ. ხელისუფლებიდან ზოგი ამ სისაძაგლეს პირდაპირ მფარველობას უწევს, ზოგი ვითომ ვერ ამჩნევს. საზოგადოების ცნობილი სახეები, ძირითადად ხელოვანები, ჩუმად არიან. მათი დიდი ნაწილი ბიძინა ივანიშვილმა იყიდა. ისინი მისგან იღებენ მსუყე სტიპენდიებს, ხელფასებს, მათ უფინანსებენ ძვირადღირებულ ოპერაციებს. ხალხის უმრავლესობა ისევ პირში ჩალაგამოვლებული და ძალიან უკმაყოფილოა.

– ხალხის უკმაყოფილებას მთავრობის შეცვლა არ დააცხრობს?

– ვერ დააცხრობს. სისტემური რეფორმების გარეშე შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება.

– ვადამდელი არჩევნებით?

– ვადამდელი არჩევნები უნდა გაიმართოს ერთი პირობით. ამისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია საარჩევნო გარემოს შეცვლა. მოვუწოდებ საზოგადოებას, „ქართულ იდეას“ შემოგვიერთდეს, რომ ეს მოთხოვნა დავაყენოთ. გასასწორებელია საარჩევნო კოდექსი. შესადგენია ზუსტი საარჩევნო სია. გაბერილ სიას, რომელსაც ადრე „ქართული ოცნება“ აკრიტიკებდა, დღეს თვითონ იყენებს ხელისუფლების შესანარჩუნებლად. ცესკო უნდა დაკომპლექტდეს საზოგადოების სანდო წარმომადგენლებით. ხმების დათვლა უბნებზე, ოლქებსა და ცესკოში უნდა მოხდეს ღიად, კამერების წინაშე.

არჩევნებში მონაწილეობა სავალდებულო უნდა გახდეს. თუ ამომრჩეველს არავინ მოსწონს, ყველას გადახაზავს. საარჩევნო უბნები გასახსნელია ქვეყნის ფარგლებს გარეთ ყველგან, სადაც ქართველები დიდი რაოდენობით ცხოვრობენ.

– ეს მოთხოვნები 2020 წლისთვისაც აქტუალური იქნება?

– თუ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები არ გამოვიდა, მაშინ 2020 წლისთვის მაინც უნდა შესრულდეს ეს პირობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, დგება ქართული სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის საკითხი. თუ სამართლიანი არჩევნები არ ჩავატარეთ, 2020 წელს ხელისუფლებაში მოვა ნაციონალური მოძრაობა შეცვლილი სახეღითა და ძველი ოდიოზური სახეებით. უნდა მოვითხოვოთ სისტემის შეცვლა, თორემ პრემიერები, მინისტრები მოდიან და მიდიან, ცხოვრება კი უარესდება.

მენიშნა მთავრობის წარდგენის დროს პარლამენტში გამოცხადებული ერთი ფრაზა. გვითხრეს, რომ პედაგოგების ხელფასები ვერ გაიზრდება, პოლიციელებს კი ივლისიდან ემატებათ ხელფასები.

– ამაში რაიმე განსაკუთრებულია? პედაგოგები პრიორიტეტი არასდროს ყოფილან.

– როცა სახელმწიფოს უჭირს და ამ დროს პოლიციელებს ხელფასები ეზრდებათ, ეს საგანგაშოა. საზოგადოებაში დიდი საპროტესტო მუხტია. ეტყობა, ხელისუფლებას უნდა, ეს მუხტი პოლიციის ძალით ჩაახშოს. არსებობს ხალხის წინააღმდეგ რეპრესიების მოწყობის საფრთხე.

– გადასხვაფერებული ნაციონალების დაბრუნებას შეეგუება ხალხი?

– იმისთვის, რომ ეს არ მოხდეს, საარჩევნო გარემოს შესაცვლელად უნდა ვიბრძოლოთ. დარწმუნებული ვარ, ხალხი არ აირჩევს იმათ, ვინც ქართული სახელმწიფოს ხელით ებრძოდა და ებრძვის ქართველებს, ეკლესიასა და ტრადიციებს. ნორმალური არჩევნების შემთხვევაში საზოგადოება უპირატესობას მიანიჭებს იმ ძალებს, რომლებსაც ხალხის მდგომარეობის შეცვლა უნდათ და რომლებიც ეკლესიის წინააღმდეგ არ წავლენ. თუ ვერას გავხდით, სახელმწიფო გვექნება, მაგრამ ეს არ იქნება ქართული სახელმწიფო.

ზაქარია ქუცნაშვილი: „როშკა-არხოტის გზის მშენებლობა ჩავარდა“

– როშკა-არხოტის დამაკავშირებელი გზის მშენებლობა ჩავარდა. მუნიციპალური განვითარების ფონდი იყო მანდ. 21-ე საუკუნის ხევსურების ოცნება ამ შემთხვევაში კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. თქვენი ჩარევის გარეშე ეს პროექტი არ დასრულდება, – ეს განცხადება პარლამენტში დეპუტატმა ზაქარია ქუცნაშვილმა გააკეთა.

დეპუტატმა პრემიერმინისტრობის კანდიდატ მამუკა ბახტაძეს ინფრასტრუქტურულ პროექტებში აქტიურად ჩართვა მოსთხოვა.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, პირიქითა და პირაქეთა ხევსურეთის დამაკავშირებელი, 28 კმ-იანი გზის მშენებლობა 2015 წლის ოქტომბერში დაიწყო. პროექტის ღირებულება – 10.900.000 ლარია. გზის მშენებლობა 2017 წელს უნდა დასრულებულიყო.

კომერსანტი

მამუკა ბახტაძე: „შავ სიაში“ 630.000 ადამიანია“

პრემიერმინისტრობის კანდიდატი მამუკა ბახტაძე, რომლის მთავარი საიმიჯო ფრაზაც გახდა – ბანკები ეკონომიკის მუხრუჭია, ორი დღეა საკანონმდებლო ორგანოში ნდობის მოპოვებას ცდილობს. ბახტაძე ორი დღეა ჭარბვალიანობაზე და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე საუბრობს, თუმცა არც ერთხელ აღარ უხსენებია აღარც ბანკები და არც ის მიზეზები, რის გამოც საქართველოს ეკონომიკა დამუხრუჭებულია.

პრემიერმინიტრობის კანდიდატმა მამუკა ბახტაძემ საქართველოს პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება ჭარბვალიანობაზე და განმარტა, რომ აღნიშნული პრობლემა ქვეყნის სოციალურად და ეკონომიკურად მდგრადი გარემოს შექმნას უშლის ხელს. შესაბამისად, ამ მიმართულებით მუშაობა კვლავ გაგრძელდება.

– ჭარბვალიანობა დღეს ახშობს ქვეყანას. სწორედ ის გახლავთ სიღარიბის გავრცელების ერთ-ერთი წყარო. იგი ერთი მხრივ ამცირებს მოსახლეობის განკარგვაღ შემოსავალს, მეორე მხრივ კი – ადამიანები, რომელთაც შეექმნებათ პრობლემები, ამოვარდნილები არიან აქტიური ეკონომიკური ცხოვრებიდან. ჩვენი მოსახლეობიდან დაახლოებით 630 ათასი ადამიანი დღეს არის ე.წ. შავ სიაშია და ის მოკლებულია განახორციელოს სრულფასოვანი ეკონომიკური ცხოვრება. ამ ადამიანთა რიცხვში არიან ჩვენი მოქალაქეები, რომელთაც აქვთ საინტერესო ბიზნესიდეები, არიან მცირე მეწარმეები, რომლებიც ვერ ავითარებენ საკუთარ პოტენციალს და ვერ ასაქმებენ ხალხს, – აღნიშნა ბახტაძე.

მისივე თქმით, უპასუხისმგებლო დაკრედიტების სისტემამ გამოიწვია ამ ადამიანების ჩამოშორება ეკონომიკური ცხოვრებიდან. შესაბამისად, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 25-30 % მოკლებულია საშუალებას, ჩაერთოს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, რაც ასევე ცუდად მოქმედებს ინკლუზიურ განვითარებაზეც.

– მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები. მე ბევრი კრიტიკა მოვისმინე ამ საკითხზე და მინდა გითხრათ, რომ ეს არ არის ჩემი პირადი მოსაზრება. არამედ, იგი მხარდაჭერილია საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და ზოგადად ყველა ჩვენი პარტნიორის მიერ. ეს იქნება სწორედ ჯანსაღ, ეკონომიკურ ზრდაზე მორგებული ცვლილება თამაშის წესებში, – განმარტავს მამუკა ბახტაძე.

კომერსანტი

სახელმწიფოს მთავარი როლია შექმნას ჯანსაღი თამაშის წესები, რომ ბიზნესმა აკეთოს თავისი საქმე

– სახელმწიფოს ნებისმიერი ინიციატივა უნდა იყოს იმისთვის, რომ ქვეყანაში გაუმჯობესდეს ბიზნესგარემო, იყოს ჯანსაღი კონკურენცია და გამართული სასამართლო სისტემა, – განაცხადა რადიო კომერსანტთან საუბრისას ბიზნესასოციაციის საგადასახადო-საბაჟო კომიტეტის თავმჯდომარემ ზურაბ ლალაზაშვილმა.

– ჩვენი სწრაფი ეკონომიკური ზრდა არ არის სრულად დამოკიდებული ქვეყნის შიგნით გატარებულ რეფორმებსა და ინიციატივებზე. ის დამოკიდებულია საგარეო ფაქტორებზეც. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ არ უნდა ვიყოთ ფოკუსირებული ზრდაზე. სახელმწიფოს მთავარი როლია შექმნას ქვეყანაში ჯანსაღი თამაშის წესები, რომ ბიზნესმა აკეთოს თავისი საქმე. კერძო სექტორი ქმნის დამატებით სამუშაო ადგილებს და სახელმწიფომ უნდა გაიგოს, რა სჭირდება ბიზნესს და ნებისმიერი ინიციატივა უნდა იყოს იმისთვის, რომ ქვეყანაში გაუმჯობესდეს ბიზნესგარემო, იყოს ჯანსაღი კონკურენცია და გამართული სასამართლო სისტემა.

სწორედ ეს არის სახელმწიფოს ძირითადი როლი. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, რომ განათლება იყოს მაღალ დონეზე და გვყავდეს განათლებული საზოგადოება, რომელთაც ექნებათ უნარი, დაიმკვიდრონ საკუთარი თავი ბიზნესში, იყვნენ მეტად ჩართული კერძო სექტორში, ვიდრე საჯარო სექტორში, – განაცხადა ზურაბ ლალაზაშვილმა.

ბიზნესასოციაციის საგადასახადო-საბაჟო კომიტეტის თავმჯდომარემ ასევე შეაფასა მამუკა ბახტაძის ინიციატივა, საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის შესახებ. მისი თქმით, ამ ინიციატივამ შესაძლოა წაახალისოს არაკეთილსინდისიერი გადამხდელები.

– სკეპტიკურად ვარ განწყობილი მამუკა ბახტაძის ამ გადაწყვეტილების მიმართ. მიმაჩნია, რომ თუ ვინმეს გადასახადი არასწორად აქვს დარიცხული, უნდა გაასაჩივროს და გასაჩივრების ფორმით მოეხსნას. როცა კეთილსინდისიერ და არაკეთილსინდისიერ გადამხდელს ვაერთიანებთ და ყველას ერთად ვუხსნით დავალიანებას, ვქმნით არაჯანსაღ კონკურენციას. თუმცა, ვფიქრობ, რომ შეიძლება ეს ინიციატივა უმეტესად ფიზიკურ ფირებს ეხებოდეთ, რომელთაც ხელი ეშლებათ სხვა საქმიანობებში და ამ მხრივ, გამართლებულად მივიჩნევ, – ამბობს ზურაბ ლალაზაშვილი.

კომერსანტი

2018, 21 ოქტომბერი, №145

გია გაჩეჩილაძე: „დასავლურ ბაზრებზე ჩვენ მხოლოდ ეკოპროდუქტების საშუალებით შევალთ“

საქართველოს მთავრობა ეკონომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღებასთან ერთად მწვანე ეკონომიკის განვითარების მიმართულებით აქტიურ მუშაობას გეგმავს.

მამუკა ბახტაძის განცხადებით, ყველა გადაწყვეტილების, მათ შორის, ეკონომიკურად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდეს არა მხოლოდ ეკონომიკური მიზანშეწონილობის, არამედ, პირველ რიგში, ეკოლოგიური ეფექტიანობის გათვალისწინებით.

– ამ მიზნის მისაღწევად საქართველოს მთავრობა აქტიურად გააგრძელებს მუშაობას მწვანე ეკონომიკის განვითარების მიმართულებით, ვინაიდან მწვანე ზრდის წახალისება, გრძელვადიან პერსპექტივაში, ხელს უწყობს ბიზნესის მხრიდან დანახარჯების შემცირებას, ასევე ბიზნესის ახალი მიმართულებების განვითარებას.

მწვანე ეკონომიკის დანერგვის პროცესში საქართველოს მთავრობა გეგმავს, კონკრეტული ინიციატივებით წაახალისოს მწვანე ინვესტიციები, ეკოლოგიურად სუფთა საკვების წარმოება და მწვანე პროდუქციის წარმოება, – აღნიშნულია პრემიერმინისტრობის კანდიდატის პროგრამაში.

მწვანე ეკონომიკის დანერგვაზე და მის არსზე „კომერსანტთან“ ფრაქცია „ქართული ოცნება მწვანეების თავმჯდომარე“, პარლამენტის „გარემოს დაცვის კომიტეტის წევრი“ გია გაჩეჩილაძე საუბრობს.

მისი განცხადებით, მსოფლიოში ცივილიზებულ სახელმწიფოებში არსებობს მიდგომა – რაც ეკოლოგიურია, ის ეკონომიკურია. ამ ეტაპზე ითვლება, რომ ეკოლოგია ეკონომიკის მასტიმულირებელი ბერკეტი გახდა. გაჩეჩილაძე მწვანე ეკონომიკის დანერგვას სწორ გადაწყვეტილებად მიიჩნევს, რადგან აღნიშნული ქვეყანას ევროპის ბაზრებზე შესვლაში დაეხმარება.

– კომუნისტურ სახელმწიფოში ითვლებოდა, რომ ეკოლოგია ეკონომიკის განვითარებას ხელს უშლიდა. თუმცა მსგავსი ტენდენციები დიდი ხანია შეიცვალა. ახლა უკვე ეკოლოგია ეკონომიკის მასტიმულირებელი ბერკეტი გახდა. მწვანე ეკონომიკის დანერგვა ეს სწორი გადაწყვეტილებაა.

2015 წელს პირველად მთავრობამ ბიომეურნეობების განვითარების შესახებ დადგენილება მიიღო. ესაა დადგენილება, რომელიც საქართველოში ეკოპროდუქციის წარმოებას ხელს უწყობს. ბიზნესმა სპეციალური სერტიფიკატი უნდა წარმოადგინოს და შესაბამისი პროცედურები გაიაროს, რომ მსგავსი სერტიფიკატი მიიღოს.

ეს ჩვენი აგრარული სექტორის განვითარებისათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია. დასავლურ ბაზრებზე ჩვენ მხოლოდ ამის საშუალებით შევალთ, – განაცხადა გია გაჩეჩილაძემ.

კომერსანტი

საპარლამენტო ოპოზიცია ბახტაძეს ჩავარდნილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე პასუხს სთხოვს

პარლამენტის წევრი მამუკა ჩიქოვანი, პრემიერ-მინისტრობის კანდიდატ მამუკა ბახტაძეს ქვეყანაში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე პასუხისმგებლობის აღებას სთხოვს.

მინდა მივიღო პასუხი: რა ხდება? ლენტეხი-მესტიის გზის მონაკვეთი, რომელიც 2018 წელს უნდა დასრულებულიყო და თვეობით არის შეჩერებული? ქობულეთის შემოვლითი გზა ასევე 2016 წელს უნდა დასრულებულიყო თქვენივე გუნდის პროგრამით, მაგრამ ჯერაც დაუსრულებელია.

რიკოთზე – თუ არ უნდა მთავრდებოდეს, თვალში უნიფორმაში ჩაცმული მშენებელი მაინც უნდა გვხვდებოდეს. და ნორმალურია თუ არა, რომ რუსთავ-თბილისის გზის 13 კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობა 6 წელია მიმდინარეობს? საზოგადოებაში ჩნდება ლეგიტიმური კითხვები კორუფციაზე, საეჭვო გარიგებაზე, რაზეც პასუხი მთავრობის ვერც ერთი წევრისგან ვერ მივიღეთ დღემდე ვერც ამ დარბაზში და ვერც მედიის საშუალებით – ეს კითხვები პარლამენტის წევრმა ნაციონალური მოძრაობიდან მამუკა ჩიქოვანმა პრემიერმინისტრობის კანდიდატს მამუკა ბახტაძე დაუსვა.

მამუკა ჩიქოვანის შეფასებით ბახტაძე მეოთხე პრემიერმინისტრობის კანდიდატია „ქართული ოცნებიდან“, რომელიც ირწმუნება, რომ ზედმიწევნით დეტალური, ადეკვატური და რეალისტური პროგრამა აქვს:

რატომ არ წარმოადგინეთ სლაიდები ინფრასტრუქტურულ პროექტებზე? თუმცა მოხსენებაში ახსენეთ, რომ გაგრძელდება და აშენდება გვირაბები და გზები“ – განაცხადა ჩიქოვანმა.

კომერსანტი

გარემოზე მიყენებული ზიანი მილიონებს ითვლის, დაიცავს თუ არა საქართველოს ეკოგარემოს ეკოომბუდსმენი

ბოლო ხუთი თვის (იანვარ-მაისი) განმავლობაში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, გარემოზე მიყენებული ზიანი 1 მლნ 760 ათასი ლარია.

მაისის თვეში ხე-ტყის უკანონო მოპოვებისა და ტრანსპორტირების 332 ფაქტი გამოვლინდა. მათ შორის 51 ფაქტი სისხლის სამართლის დანაშაულების ნიშნებს შეიცავს. ჯამში, ამოღებულია უკანონოდ მოპოვებული 461 მ3-მდე ხე-ტყე.

ზემოთ აღნიშნულის ფონზე საქართველოს მთავრობა ეკოომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღებას გეგმავს, რაც ერთგვარი გარანტი იქნება გარემოს დაცვის საკითხებზე მთავრობის, საზოგადოებისა და ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური თანამშრომლობისთვის.

ეკოომბუდსმენის ინსტიტუტის შექმნის ინიციატივას დადებითად აფასებს და თვლის, რომ მისი შექმნის საჭიროება უკვე დიდი ხანია დგას „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა – დედამიწის მეგობრების“ ხელმძღვანელი ნინო ჩხობაძე. ის ყურადღებას ინსტიტუტის სახელწოდებაზე ამახვილებს და მას უარყოფითად აფასებს. აცხადებს, რომ ეკოლოგიური მეცნიერების ომბუდსმენი ქვეყანას არ სჭირდება.

ნინო ჩხობაძის განცხადებით, ქვეყანაში მონდომების შემთხვევაში მსგავსი პროექტის განხორციელება შესაძლებელია.

– ჩვენ გარემოსდაცვითი ომბუდსმენი გვჭირდება და არა ეკო. მხოლოდ ერთი ადამიანი ვერაფერს გახდება თუ უწყება არ იქნება ცალკე მდგომი. ჩვენ გარემოს დაცვის სამინისტროს ცალკე აღდგენა გვჭირდება თავის რესურსებთან ერთად.

ის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აუცილებლად უნდა გამოეყოს. ჩვენ მათი შერწყმის ორივე სამინისტროს ვაკნინებთ და უნდა ვაღიაროთ, რომ ეს შეცდომა იყო, – განაცხადა „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა – დედამიწის მეგობრების“ ხელმძღვანელმა.

ფრაქცია „ქართული ოცნება მწვანეების თავმჯდომარე“, პარლამენტის „გარემოს დაცვის კომიტეტის წევრი“ გია გაჩეჩილაძე აცხადებს, რომ ეკოომბუდმენის ინსტიტუტის აუცილებლობა ქვეყანაში რთული ეკოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე დადგა. ამ ეტაპზე ის ვერ საუბრობს იმაზე, თუ აღნიშნული ინსტიტუტი მომავალში რამდენად გაამართლებს.

– რა თქმა უნდა, იდეა მისასალმებელია, თუმცა ევროპული პრაქტიკაა სანახავი, თუ როგორ მუშაობს საერთაშორისო დონეზე. როდესაც იდეა წარმოდგენილი იქნება მას კანონმდებლობაში ცვლილებები დასჭირდება, ყველაფერს მომავალში ვნახავთ.

ქვეყანაში რთული ეკოლოგიური მდგომარეობაა. 70%-ი სტიქიის არეალშია მოქცეული, სადაც 3.000-მდე დასახლებული პუნქტია. არ ვიცი რამდენად გაამართლებს ეკოომბუდსმენის ინსტიტუტი, ჯერ იდეის დონეზეა. ჩვენ უნდა ვნახოთ ის კანონპროექტი, რომელშიც ამ ინსტიტუტის მუშაობის სისტემა იქნება ახსნილი, – განაცხადა გაჩეჩილაძემ.

რაც შეეხება ხე-ტყის უკანონოდ მოპოვებას და გამოვლენილ ფაქტებს, „გარემოს დაცვის კომიტეტის“ წევრი მიიჩნევს, რომ ეს მემკვიდრეობაა და ზოგიერთ საწარმოს ჰქონია, რომ გარემოზე ზიანის მიყენების პასუხისმგებლობას თავს აარიდებს.

– ეს ასე აღარ იქნება, როდესაც გარემოზე ზემოქმედების შეფასების კოდექსი სრულად ამუშავდება, ყველაფერი თავის ადგილზე დადგება, – აღნიშნა გია გაჩეჩილაძემ.

კომერსანტი

ეროვნულ ბანკს უნდა გაეკონტროლებინა ბაზარი და ბანკები, რომ არ მომხდარიყო ამ პროპორციით სასესხო დაბანდება

– ჭარბვალიანობის პრობლემა პირველად სწორედ მამუკა ბახტაძემ გამოააშკარავა. ეს პრობლემა არა მარტო საქართველოს, არამედ მთელს მსოფლიოს აწუხებს. ჩვენს შემთხვევაში შემოსავალთან მიმართებაში არის უთანაბრო ვალდებულებები, რომლითაც არიან დატვირთულები ჩვენი მოქალაქეები.

მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს ჭარბვალიანობის პრევენცია, მოსახლეობის დიდ ნაწილს სხვადასხვა სესხი აქვს აღებული და ვფიქრობ, უკვე დაგვიანებულიც არის ეს ინიციატივებიც. მამუკა ბახტაძის, როგორც უკვე პრემიერ-მინისტრის მიერ გაჟღერდა ამ პრობლემების მოგვარების გზები. ჭარბვალიანობის შემცირება კი დადებითად აისახება, როგორც მოსახლეობაზე, ისე ბიზნესზე. რადგან ჭარბვალიანობა ბიზნესის პრობლემაცაა, ვინაიდან ბიზნესისთვის ზარალია გადახდისუუნარო მოქალაქეები, – აღნიშნა არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებათა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა, ირაკლი ბერძენაძემ რადიო „კომერსანტთან“ საუბრისას.

ირაკლი ბერძენაძე არ ეთანხმება საბანკო სექტორის ბრალდებებს, რომ ჭარბვალიანობა არასაბანკო საფინანსო ორგანიზაციების არსებობითაა გამოწვეული.

– საქართველოში არასაფინანსო ორგანიზაციები ბოლო ხუთი წელია, რაც განვითარდნენ, მანამდე კი იყვნენ ბანკები. სწორედ რეგულატორის, საქართველოს ეროვნული ბანკის ვალდებულებაა, რომ აკონტროლოს ეს სიტუაცია. რეგულატორმა მისცა საშუალება, რომ ბაზარი გაზრდილიყო და მივიღეთ ეს სიტუაცია, რაც გვაქვს.

ეროვნულ ბანკს უნდა გაეკონტროლებინა ბაზარი და ბანკები, რომ არ მომხდარიყო ამ პროპორციით სასესხო დაბანდება. ჭარბვალიანობაზე საუბრისას კერძო მევახშეების ბრალეულობა უნდა გამოიკვეთოს, – აღნიშნავს ირაკლი ბერძენაძე.

რაც შეეხება, საგადასახადო ამნისტიას, არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებათა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი აცხადებს:

– თუ გადავხედავთ ისტორიულად, ბოლო 12 წლის განმავლობაში, საგადასახადო ამნისტია შეეხებოდა მხოლოდ დიდ კომპანიებს, თუ ეს ინიციატივა მომავალში შეეხება მცირე და საშუალო ბიზნესს, იქნება ძალიან კარგი, რადგან ამ სექტორისთვის უფრო საჭიროა სახელმწიფოს მხარდაჭერა და მის მიერ პრობლემების შემსუბუქება.

კომერსანტი

მიხეილ გიორგაძე: „ფიტარეთს საფრთხე არ ემუქრება“

– სრული პასუხისმგებლობით მინდა მოგახსენოთ, რომ ფიტარეთთან და ხულთვის ციხესთან დაკავშირებით, არც ერთ ძეგლს საფრთხე არ ემუქრება. ფიტარეთში დღეს მიმდინარეობს რეაბილიტაცია, ბიუჯეტი 200 ათასი ლარია, გადახურვა მთლიანად იქნება შეკეთებული, რომელიც დიდი ხნის პრობლემა იყო. იმიტომ, რომ ძალიან მდიდარია კედლის მხატვრობით ეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, – ეს განცხადება კულტურის მინისტრობის კანდიდატმა მიხეილ გიორგაძემ დღეს პარლამენტში გააკეთა.

რაც შეხება შესაძლო ზეგავლენას სამუშაოების, რომელსაც RMG-ი ჩაატარებს ახლო თუ შორეულ მომავალში, მიხეილ გიორგაძის შეფასებით, კულტურის და ძეგლთადაცვის სამინისტროს პრინციპული პოზიცია აქვს:

– პრინციპული პოზიცია არის ჩვენი, რომ მხოლოდ შესაბამისი კვლევების შემდეგ იქნება შესაძლებელი სამუშაობის ჩატარება და მასშტაბიც ამ კვლევებზე იქნება დამოკიდებული. კვლევებში ვგულისხმობთ და ყველაზე მეტ აქცენტს ვაკეთებთ სეისმური ვიბრაციის კონტექსტში, თუ რა ზეგავლენა შეიძლება ამან იქონიოს ძეგლებზე და საერთოდ იქონიებს თუ არა, – განაცხადა მიხეილ გიორგაძემ.

კომპანია RMGსოფელ ტანძიასთან, ე.წ. ბნელი ხევის ტერიტორიაზე ოქროს მომპოვებელი ღია კარიერის მოწყობას თეთრიწყაროს პროექტის ფარგლებში გეგმავდა. ადგილზე მოპოვებულ წიაღისეულს, ამჟამად მშენებარე გზით, საყდრისის ტერიტორიაზე მოწყობილ სამრეწველო მოედანზე გადასამუშავებლად გადაიტანენ. კომპანიის განცხადებით, მანამდე სამრეწველო ობიექტის მშენებლობა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში იგეგმებოდა, თუმცა იმის გამო, რომ დამატებითი დაბინძურება აიცილონ, პროექტი შეცვალეს.

კომერსანტი

5-ლარიანი მონეტის დიზაინის ესკიზზე ეროვნული ბანკი კონკურსს აცხადებს

პირველი ქართული ეროვნული საფოსტო მარკის გამოშვებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საკოლექციო დანიშნულების 5 ლარის ნომინალის მონეტის დიზაინის ესკიზის შესარჩევად საქართველოს ეროვნული ბანკი კონკურსს აცხადებს.

1919 წლის 26 მაისს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების პირველი წლისთავის აღსანიშნავად, მიმოქცევაში გამოვიდა პირველი ქართული ეროვნული საფოსტო მარკა 10 კაპეიკის ნომინალით. აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გადაწყვიტა, ქართული მარკის თემაზე საკოლექციო დანიშნულების 5 ლარის ნომინალის მონეტა გამოუშვას.

პირველი ქართული ეროვნული საფოსტო მარკის გამოშვებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საკოლექციო დანიშნულების 5 ლარის ნომინალის მონეტის დიზაინის ესკიზის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა ესკიზები უნდა წარმოადგინონ გარკვეული პირობების მიხედვით.

კომერსანტი

„ტორმუზი და გაზი ამერიაო...“ პარლამენტთან ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. პარკირებისას დაშვებული შეცდომის გამო ავტომობილი საცხოვრებელი სახლის შიდა ეზოში ჩავარდა

მძღოლს, სხეულის მსუბუქი დაზიანება აღენიშნება.

შსს-ს ინფორმაციით გამოძიება სსკ 276-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა გულისხმობს, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია.

როგორც ადგილობრივები აცხადებენ მას მუხრუჭის და ე.წ „გაზის“ სატერფულები აერია.

„პატრულის კითხვაზე, მანდ როგორ მოხვდიო, ტორმუზი და გაზი ამერიაო, იყო პასუხი“ – აცხადებენ ადგილობრივი მცხოვრებელები.

მოსამართლეთა მიმართ დაწერილი საჩივრების ნაწილი ძირითადად საქმეთა გაჭიანურებას და კანონიერებას ეხება

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის გიორგი მიქაუტაძის განცხადებით, მოსამართლეთა მიმართ დაწერილი საჩივრების ნაწილი, რომლებიც დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში შედის, ძირითადად საქმეთა გაჭიანურებას და კანონიერებას ეხება.

როგორც გიორგი მიქაუტაძემ განაცხადა, დასკვნებს, რომელსაც დამოუკიდებელი ინსპექტორი ამზადებს და შემდეგ განსახილველად იუსტიციის უმაღლეს საბჭოს გადაეცემა, ყველა მათგანი კომპეტენტურია და მაღალი ხარისხით არის მომზადებული.

– დაახლოებით 6 თვეა, რაც ინსპექტორი ახორციელებს თავის უფლება მოსილებას. ვნახეთ ინსპექტორის მიერ წარმოდგენილი კომპეტენტური დასკვნები. რაც შეეხება საჩივრების სახეობებს, პრეტენზიებია გადატვირთულობაზე, რაც გამოწვეულია ვადების გაჭიანურებით. აგრეთვე, ბევრი საჩივარია კანონიერებასთან დაკავშირებით, – განაცხადა მიქაუტაძემ.

რაც შეეხება იმას, კონკრეტულად რომელი მოსამართლის მიმართ შესული საჩივარი იქნა განხილული, როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა განმარტა, დისციპლინური სამართალწარმოება კონფიდენციალურია და ამიტომ კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით ვერ ისაუბრებს.

– ინსპექტორი ამზადებს დასკვნებს, რომლის მიხედვითაც შემდეგ საბჭო იხილავს საკითხს. მინდა გითხრათ, რომ ინსპექტორისგან ძალიან კომპეტენტური და მაღალი ხარისხის დასკვნები შემოდის. საქმეები ამომწურავად არის შესწავლილი, – განაცხადა მიქაუტაძემ.

დიდი ოდენობით ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტებზე 2 პირი პასუხისგებაში მისცეს

დიდი ოდენობით ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტებზე საგამოძიებო სამსახურმა ორი პირი პასუხისგებაში მისცა.

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დიდი ოდენობით ქონების მოტყუებით დაუფლების ორი ფაქტი გამოავლინა და ორი პირი პასუხისგებაში მისცა.

გამოძიებით დადგინდა, რომ ერთ შემთხვევაში, ბრალდებული, ყალბი ნოტარიული მინდობილობის გამოყენებით, მოტყუებით დაეუფლა ქალაქ თბილისში მდებარე, კერძო პირის საკუთრებაში არსებულ 469.000 ლარის ღირებულების ჯამში 2.441 მ2 ფართობის მიწის სამ ნაკვეთს. მეორე შემთხვევაში, ბრალდებული, ასევე ყალბი დოკუმენტების გამოყენებით, მოტყუებით დაეუფლა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში მდებარე, სახელმწიფოს კუთვნილებაში არსებულ 558 მ2 მიწის ნაკვეთს, რომლის ღირებულება 33.862 ლარს შეადგენს.

ამ ეტაპზე, მოტყუებით დაუფლებული მიწის ნაკვეთები დაყადაღებულია. ასევე, ტარდება შესაბამისი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები აღნიშნულ დანაშაულში მონაწილე სხვა პირების დადგენა – მხილების მიზნით.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მესამე ნაწილით და 362-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 6-დან 9 წლამდე“ – აღნიშნულია საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ავთანდილ ხურციძე ნიუ იორკის სასამართლომ დამნაშავედ ცნო

მას 40 წლამდე ციხე ემუქრება

აშშ-ში დაკავებულ ქართველ მოკრივე ავთანდილ ხურციძეს 40-წლამდე პატიმრობა ემუქრება. საქმის დეტალებზე რამდენიმე დღის წინ სტატია ნიუ იორკ პოსტმა გამოაქვეყნა.

სტატიაში აღნიშნულია, რომ ხურციძის წინააღმდეგ შესაძლოა ვიდეომტკიცებულებას ემუშავა. გამოცემის ინფორმაციით, ბრალდების მხარე აპირებდა ნაფიცი მსაჯულებისთვის წარედგინა რამდენიმე ვიდეომტკიცებულება, რომელშიც ნათლად ჩანს, თუ როგორ ემუქრება ან ესხმის თავს ადამიანებს ხურციძე ე.წ. კანონიერი ქურდის, რაჟდენ შულაიას სახელით.

„ერთ-ერთ ასეთ ვიდეოში ხურციძე სახეში ურტყამს მამაკაცს, რომელმაც, სავარაუდოდ, შულაიას მფლობელობაში მყოფი ერთ-ერთი სამორინედან ფული მოიპარა. შემდეგ შულაია სილას ურტყამს იმავე მამაკაცს და ამბობს, რომ თუ ფულს არ გადაიხდის, ამას შედეგები მოჰყვება“ – წერს ნიუ იორკ პოსტი.

ავთანდილ ხურციძისა და რაჟდენ შულაიას საქმის პროკურორის ენდრიუ თომასის განცხადებით, „შულაია ნამდვილი ხელმძღვანელი, ხურციძე კი მისი ჯარისკაცი იყო“, თუმცა ხურციძის ადვოკატი, მეგან ბენეტი აცხადებს, რომ „ხურციძემ და შულაიამ ერთმანეთი საქართველოში გაიცნეს და ურთიერთობდნენ, თუმცა კრიმინალურ დაჯგუფებასთან კავშირი არ ჰქონიათ“.

არსებითი განხილვა საქმეზე 5 ივნისს დაიწყო. გამოძიების მტკიცებით, დაჯგუფება, რომელსაც რაჟდენ შულაია ხელმძღვანელობდა და რომლის შემადგენლობაშიც ხურციძეც შედიოდა, არალეგალური ვაჭრობითა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით თაღლითობით იყო დაკავებული. სულ საქმეზე 30-მდე ადამიანია დაკავებული.

ნიუ-იორკის სასამართლოს ნაფიცმა მსაჯულებმა ქართველი მოკრივე ავთანდილ ხურციძე ყველა წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ ცნეს.

ზვიად დევდარიანი სასამართლოს მეორედ მიმართავს

ზვიად დევდარიანი და მისი ადვოკატი დიმიტრი გაბუნია თბილისის საქალაქო სასამართლოს მოუწოდებენ, მეტი ყურადღება გამოიჩინოს ინფორმაციის გაცემისას.

როგორც დევდარიანისა და მისი ინტერესების დამცველის განცხადებაშია აღნიშნული, საგანგაშოა ის ფაქტი, რომ სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხი უფრო ადრე გახდა ცნობილი სავარაუდო მოპასუხეებისთვის, ვიდრე თავად სარჩელის ავტორებისთვის. როგორც განცხადებაშია აღნიშნული, მსგავსი ფაქტები მოსარჩელეს აფიქრებინებს, რომ სასამართლო დაინტერესებულია საქმის შედეგით.

„ვადასტურებთ იმ ფაქტს, რომ 2018 წლის 19 ივნისს გვეცნობა, რომ ზვიად დევდარიანის სარჩელი პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შელახვის და მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, თამარ ჩერგოლეიშვილის და სხვების მიმართ, სასამართლომ არ მიიღო წარმოებაში. შესაბამისი განჩინებით განგვემარტა, თუ რა ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები უნდა დაზუსტდეს იმისთვის, რომ სარჩელი წარმოებაში იქნას მიღებული. ამაში უცნაური არაფერია, მით უფრო პრეცედენტულ საქმეში, რადგან ნებისმიერი სარჩელი შეიძლება მოითხოვდეს დაზუსტებას და ეს წმინდა პროცედურული საკითხია – სარჩელი შესაბამისობაში მოვა განჩინებაში მოყვანილ მითითებებთან და იქნება მიღებული წარმოებაში.

საგანგაშოა ის ფაქტი, რომ სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხი უფრო ადრე გახდა ცნობილი სავარაუდო მოპასუხეებისთვის (წინა დღით), ვიდრე მოსარჩელისთვის. რაც ნიშნავს იმას, რომ სასამართლოს მხრიდან უკანონოდ იქნა მიწოდებული ინფორმაცია გარკვეული პირებისთვის.

შემდგომში მსგავსი უხერხულობის თავიდან აცილების მიზნით, მოვუწოდებთ თბილისის საქალაქო სასამართლოს, მეტი ყურადღება გამოიჩინოს ინფორმაციის გაცემისას და იმოქმედოს კანონით დადგენილ ფარგლებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, მსგავსი ფაქტები გვაფიქრებინებს, რომ სასამართლო დაინტერესებულია საქმის შედეგით და რაც მის ობიექტურობაში ეჭვის შეტანის საფუძველს წარმოშობს.

იმედს ვიტოვებთ, სასამართლო გაითვალისწინებს უკვე მომხდარ გადაცდომას და მომავალში არ დაუშვებს მსგავს ფაქტს“, – ნათქვამია განცხადებაში.

ამასთან როგორც „ინტერპრესნიუსს“ დევდარიანის ადვოკატმა დიმიტრი გაბუნიამ განუცხადა, სასამართლოში სარჩელს ხელახლა მომავალ კვირას შეიტანს. გაბუნიას თქმით, ხარვეზად დაფიქსირებულია ტექნიკური დეტალები, რომელიც წმინდა სამართლებრივია. ადვოკატმა ასევე აღნიშნა, რომ სასარჩელო მოთხოვნა და მოპასუხეები სარჩელში უცვლელი დარჩება.

21 წლის ბიჭი მაღალი ძაბვის ტრანსფორმატორზე მუშაობისას დაიღუპა

საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების ინფორმაციით, 21 წლის ბიჭი მაღალი ძაბვის ტრანსფორმატორზე მუშაობისას დაიღუპა.

„ენერგო-პრო ჯორჯია“-ში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გუშინ 21 წლის შოთა ბერიაშვილი გარდაიცვალა. უბედური შემთხვევის სავარაუდო მიზეზი, ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით, გახდა ის, რომ მაღალი ძაბვის ტრანსფორმატორზე მიმდინარე სამუშაოებისას ელექტროენერგია არ იყო გამორთული. ის კომპანიის მეექვსე თანამშრომელი იყო, რომელიც საწარმოო შემთხვევის შედეგად გასულ ერთ წელიწადში დაიღუპა.

საქართველოს ენერგეტიკის მუშაკთა პროფესიული კავშირი „ენერგო პრო ჯორჯიაში“ დაფიქსირებული მსგავსი შემთხვევების მიზეზად სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოების წესების არასათანადო დაცვას, დასაქმებულთა გადამზადების არასრულყოფილ მექანიზმებს, დაბალი ხელფასების ფონზე პროფესიონალი სპეციალისტების გადინებას და არასაკმარის საშტატო ერთეულს მიიჩნევს.

საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების მონაცემებით, მხოლოდ წელს საწარმოო შემთხვევების შედეგად სამუშაო ადგილზე 22 ადამიანი გარდაიცვალა და 18 დაშავდა. პროფკავშირების გაერთიანება ქმედით შრომის ინსპექციას უკვე წლებია მოითხოვს“ – აღნიშნულია პროფკავშირების გაერთიანების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

შსს პანკისელ ბესლან წუწაშვილს ეძებს

პანკისელ ბესლან წუწაშვილს უკვე შინაგან საქმეთა სამინისტროც ეძებს. წუწაშვილის გაუჩინარების შესახებ ინფორმაცია 19 ივნისს გავრცელდა. შსს-მ მოქმედებები მას შემდეგ დაიწყო, რაც ამის შესახებ ოჯახმა უწყებას აცნობა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ადგილობრივმა მცხოვრებმა მალხაზ მუთოშვილმა განუცხადა, წუწაშვილი საქართველოდან გროზნოში აპირებდა გადასვლას, როდესაც ის საზღვარზე დააკავეს.

2018, 21 ოქტომბერი, №145

ტრამპს კოსმოსური ჯარების შექმნა სურს

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ კოსმოსური ჯარების შექმნა სურს. ეს აშშ-ის შეიარაღებული ძალების ისეთივე შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს, როგორც საზღვაო-ქვეითები, ავიაცია, სარაკეტო ჯარები და ა.შ.

– ამერიკა კოსმოსშიაც უნდა დომინირებდეს, – თქვა ტრამპმა.

სტოლტენბერგი ნატოს ერთიანობისკენ მოუწოდებს

ატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა შემაშფოთებელი უწოდა იმ დაპირისპირებას, რომელმაც უკანასკნელ ხანს აშშ-ევროპას შორის იჩინა თავი.

– იმედი ვიქონიოთ, რომ ეს კამათია და არა დაპირისპირება, – ამბობს სტოლტენბერგი.

ნატოს გენერალურმა მდივანმა ალიანსის წევრებს ერთიანობისკენ მოუწოდა. მან ხაზი გაუსვა, რომ ამას დღეს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს.

– ევროპასა და აშშ-ს შორის უთანხმოების, აგრეთვე რუსეთის მხრივ აგრესიის საფრთხის ფონზე ნატო, როგორც არასოდეს, ერთიანი უნდა იყოს, – აცხადებს სტოლტენბერგი.

მერკელი მაკრონს შეხვდა

გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონს შეხვდა. საუბრის ძირითადი თემა მიგრანტების საკითხი იყო.

მერკელი და მაკრონი შეთანხმდნენ, რომ მიგრანტები თანამედროვე ევროპის ყველაზე სერიოზული პრობლემაა და ამას მთელმა ევროპამ უნდა მოუაროს.

– სამწუხაროდ, ევროკავშირის წევრი ზოგიერთი ქვეყნის ლიდერი საერთო საქმეზე ფეხს ითრევს და ამას პოპულისტურ განცხადებებს ამჯობინებს, – თქვა მერკელმა.

მაკრონმა თავის მხრივ შენიშნა, რომ ევროკავშირის დაშლის საფრთხე სულ უფრო რეალური ხდება.

– ეს არ უნდა დავუშვათ, – ამბობს მაკრონი.

20 წლის ტერორისტი ტერეზა მეის თავის მოკვეთას უპირებდა

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ტერეზა მეიზე თავდასხმის ორგანიზატორი მისთვის თავის მოკვეთას აპირებდა.

ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ მხარდამჭერი, 20 წლის ნაიმურ ზაქარია რაჰმანი პრემიერ-მინისტრის რეზიდენციასთან ბომბის აფეთქებას, შემდეგ კი ცრემლსადენი გაზის საშუალებით დაცვის ნეიტრალიზებას და შენობაში შესვლას გეგმავდა.

რაჰმანი გასული წლის ნოემბერში დააკავეს, როდესაც სპეცსამსახურების თანამშრომელი, რომელიც თავს მის თანამოაზრედ ასაღებდა, მას „ასაფეთქებელი მოწყობილობის“ გადასაცემად შეხვდა.

პროკურორის მაიკ ჰეივუდის განცხადებით, ეჭვმიტანილი ტერაქტების სამიზნეებად სამხედრო ობიექტებს და ბრიტანული კონტრდაზვერვის სამსახურის შტაბ-ბინასაც განიხილავდა და მზად იყო თვითმკვლელობისთვის, რათა შემდგომში „72 ქალწულთან ერთად სამოთხეში მოხვედრილიყო“.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

აშშ გაეროს ადამიანის უფლებების დაცვის საბჭოდან გავიდა

აშშ გაეროს ადამიანის უფლებების დაცვის საბჭოდან გავიდა. ამის თაობაზე გაეროში აშშ-ის წარმომადგენელმა ნიკი ჰეილმ განაცხადა:

– გაეროს ადამიანის უფლებების დაცვის საბჭო თავის დანიშნულებას არ ამართლებს! ის თვალს ხუჭავს რიგ ქვეყნებში ავტორიტარული რეჟიმების არსებობასა და იქ ადამიანის უფლებების დარღვევაზე. ამავე დროს, თავს ესხმის დემოკრატიულ ქვეყნებს, ისეთებს, როგორიც ისრაელია!

ავტორიტარულ ქვეყნებს შორის ჰეილმ დაასახელა რუსეთი, ჩინეთი და ვენესუელა. მან ხაზი გაუსვა, რომ იქ ადამიანის უფლებები ფეხქვეშ ითელება, გაეროს ადამიანის უფლებების დაცვის საბჭო კი ყურსაც არ იბერტყავს.

– გამომდინარე ზემოთქმულიდან, ჩვენ, ამერიკელებს, ასეთ საბჭოში არაფერი გვესაქმება, – თქვა ჰეილმ.

ამერიკელების ასეთმა ნაბიჯმა მსოფლიო რეზონანსი გამოიწვია. ადამიანის უფლებების დაცვის საბჭოდან აშშ-ის გასვლის გამო სინანული გამოთქვეს გაეროს გენერალურმა მდივანმა გუტერეშმა, ევროკავშირის წარმომადგენელმა მოგერინიმ და სხვებმა.

პუტინი მინსკში ჩავიდა

ვლადიმერ პუტინი მინსკში ჩავიდა.

პუტინი და ლუკაშენკო რუსეთ-ბელორუსის სამოკავშირეო სახელმწიფოს უმაღლესი საბჭოს სხდომას დაესწრნენ.

პრესკონფერენციაზე პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთ-ბელორუსის ინტეგრაცია გრძელდება.

– რუსული ინვესტიციების წილი ბელორუსის ეკონომიკაში 93%-ია. რუსეთ– ბელორუსის არმიები ფაქტიურად უკვე ერთ მთლიანს წარმოადგენენ, – თქვა პუტინმა.

რუსეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ორი მოძმე სლავი ერის შემდგომი დაახლოება გარდუვალია. ამასთან, მან გამოთქვა სინანული, რომ უკრაინა ამ პროცესიდან ამოვარდნილია.

– არა მგონია, რომ უკრაინელ ხალხს მოსწონდეს ის, რაც დღეს ამ ქვეყანაში ხდება! რუსეთიდან ჩამოშორებამ ხომ მათ ომი, ნგრევა და სიღატაკე მოუტანა, – წარმოთქვა პუტინმა.

ალექსანდრე ლუკაშენკომ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ბელორუსი რუსეთთან დაახლოების პროცესს განაგრძობს.

– ჩვენ გვაერთიანებს ენა, ეკონომიკა, საგარეო პოლიტიკა, – განაცხადა ლუკაშენკომ.

გრიბაუსკაიტე: „ლიეტუვაში რუსების შემოჭრის საფრთხე რეალურია!“

ლიეტუვას პრეზიდენტმა დალია გრიბაუსკაიტემ განაცხადა, რომ რუსული ინტერვენციის საფრთხე დღითიდღე იზრდება.

– რუსების შემოჭრის საფრთხე რეალურია! – აცხადებს გრიბაუსკაიტე.

პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ დასავლეთი რუსეთის მიმართ არასაკმარისად მკაცრად იქცევა. როგორც ჩანს, ბერლინში, პარიზსა თუ სხვაგან, ჯერაც ვერ აღიქვამენ იმას, თუ რაოდენ დიდ საფრთხეს უქადის ევროპას პუტინის რუსეთი.

– ეს მართაც გულსატკენია! – ამბობს პრეზიდენტი.

გრიბაუსკაიტემ აღნიშნა, რომ ლიეტუველი ხალხი რუსული ინტერვენციის შემთხვევაში სამშობლოს დასაცავად აღდგება.

– რუსებს კარგად ახსოვთ ლიეტუველი პარტიზანები „ტყის ძმები“. თუ ახლაც ჩვენს ოკუპაციას შეეცდებიან, დარტყმა, რომელიც თავის დროზე ჩვენი პარტიზანებისაგან მიიღეს, მონაგონი იქნება, – განაცხადა პრეზიდენტმა.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა

მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე.
მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166.
მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● დიდი გამოცდილების მქონე შპს მოგიგვარებთ ქვეწარმავლების, მღრღნელების, მწერების პრობლემას, ჩაგიტარებთ სადეზინფექციო სამუშაოებს. ტელ: 551-54-84-54; 599-74-04-51.

● შევიძენ ნახატ სურათებს, წიგნებს, ძველ ნივთებს. ტელ: 598-43-98-57.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალი ნანა პაიჭაძე საგვარეულო მალამოთი ეფექტურად მკურნალობს: რადიკულიტს, ოსტეოქონდროზს, კისრის, მუხლსახსრების ართროზს, დისკოზს, ნერვის ანთებას, ტერფისა და ქუსლების ტკივილს, ურთულეს დაავადებას ჰაიმორიტს. მის პაციენტთა შორის იყვნენ ცნობილი ადამიანები – აკადემიკოსი ანზორ შავგულიძე, მსახიობი ჯემალ ღაღანიძე, ტელეწამყვანი გიორგი გოგიჩაიშვილი და მრავალი სხვა. მის: თევდორე მღვდლის ქუჩა №48. ტელ: 593-00-08-26; 599-54-64-81.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება – კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

საქართველოს ნაკრები ჩეხეთშია

საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრები ჩეხეთში გაემგზავრა, სადაც 22 და 23 ივნისს 2 საკონტროლო მატჩს გამართავს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები მსოფლიოს 2019 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში დარჩენილი 2 მატჩისთვის ემზადება. ილიას ზუროსის გუნდს ჯგუფში 2 საშინაო მატჩი აქვს – 29 ივნისს სერბეთთან, ხოლო 2 ივლისს – ავსტრიასთან.

ამ ნაკრებებთან ერთად ჩვენს ჯგუფში გერმანიაც არის, რომელმაც ჯგუფში ყველა თამაში მოიგო და ლიდერია. შემდეგ მოდიან სერბეთი, საქართველო და ავსტრია. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მომდევნო – მეორე ეტაპზე 3 საუკეთესო გადის, რომლებსაც ამ ჯგუფში მოგროვილი ქულები მიჰყვებათ. საქართველოს მიზანია, ჯერ ჯგუფის სამეულში მოხვედრა გაინაღდოს, შემდეგ კი, რაც შეიძლება მეტი ქულა დააგროვოს.

ილიას ზუროსმა ჩეხეთში 14 კალათბურთელი იხმო. ნაკრებს პრაღაში არ ეყოლება თორნიკე შენგელია და მანუჩარ მარკოიშვილი, რომლებიც ჩეხეთიდან დაბრუნებულ ეროვნულ გუნდს თბილისში დახვდებიან.

ბერძენმა სპეციალისტმა გაფართოებული შემადგენლობა შეამცირა: გიორგი ბაქრაძე, ბექა ბექაური, ილია ლონდარიძე და გიორგი ტურძილაძე ნაკრებს მიღმა დარჩნენ, ხოლო მიკროტრავმები აწუხებთ ნოდარ გოგოძესა და რევაზ როგავას, რომელთაც ასევე თბილისში მოუწიათ დარჩენა.

ჩეხეთში საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ასეთი იქნება:

გიორგი ცინცაძე, გიორგი შერმადინი, დუდა სანაძე, თად მაკფადენი, გოგა ბითაძე, ანატოლი ბოისა, მიხეილ ბერიშვილი, სანდრო მამუკელაშვილი, აკაკი დვალიშვილი, ნიკა დარბაიძე, მერაბ ბოქოლიშვილი, მიხეილ ჭოჭუა, ლუკა ბულაშვილი, რატი ანდრონიკაშვილი.

გუნდმა უკვე ჩაატარა პირველი ვარჯიში.

შენგელია ესპანეთში მეორეა

თორნიკე შენგელიასთვის კარიერის საუკეთესო სეზონი დასრულდა. ბასკონიას ქართველმა კაპიტანმა მიმდინარე სეზონში ევროლიგისა და ესპანეთის ჩემპიონატის სიმბოლურ ხუთეულში მოიპოვა ადგილი და ორივე შემთხვევაში მვპ-ის ტიტულამდე 1 ნაბიჯი დააკლდა. მას ორივე ნომინაციაში ევროლიგისა და ესპანური ლიგის მომგებმა ლუკა დონჩიჩმა აჯობა.

სწორედ დონჩიჩის გუნდ მადრიდის რეალთან წააგო თორნიკემ ესპანეთის ჩემპიონატის ფინალური სერია. საერთო ანგარიშში 1:2 ჩამორჩენილმა ბასკონიამ ქართველი ლეგიონერის წინამძღოლობით ბოლომდე ებრძოლა სამეფო კლუბს, მაგრამ საბოლოოდ ვერას გახდა. ბასკონიელებმა სერიის მე-4 მატჩი 85:96 წააგეს და ჩემპიონობას ვერ შესწვდნენ. რეალმა წლეულს მოგებულ ევროლიგასთან ერთად ესპანეთის ჩემპიონობაც მოიპოვა.

შენგელია სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 27 წუთში 16 ქულა, 1 მოხსნა და 4 პასი მიითვალა. თორნიკემ მისთვის უჩვეულოდ ბევრი 9 სამქულიანი ესროლა და 4 ჩააგდო, რასაც 3-დან 2 ორქულიანი წაამატა.

რეალისთვის ეს ესპანეთის 34-ე საჩემპიონო ტიტულია. ფინალური სერიის საუკეთესო მოთამაშედ რუდი ფერნანდესი დასახელდა, რომელმაც გადამწყვეტ მატჩში მადრიდელებს 27 ქულა შეაშველა.

მარადონამ არგენტინაზე ისაუბრა და სამპაოლი შეაშინა

არგენტინის ნაკრების ლეგენდარულმა ფეხბურთელმა, დიეგო მარადონამ, მედიასთან კომენტარი გააკეთა და განაცხადა, რომ ხორხე სამპაოლი სამშობლოში, ცუდი შედეგის შემთხვევაში, ვერ დაბრუნდება.

დიეგო მარადონა:

– არგენტინის ნაკრები ძალიან ცუდ სიტუაციაშია და მხოლოდ ღმერთის იმედი მაქვს. დარწმუნებული ვარ, რომ მთავარი მწვრთნელი, ხორხე სამპაოლი, ამ თამაშიდან გამომდინარე, სამშობლოში ვერ დაბრუნდება. ყველა ხედავს, რომ დიდი რისკის ქვეშ ვართ. წინ ხორვატია და ნიგერიაა. ისლანდიასთან ფრემ, შესაძლოა, ჯგუფური ეტაპი ვერ გადაგვალახვინოს.

შეგახსენებთ, არგენტინამ პირველ ტურში ისლანდიას ვერ მოუგო. 2016 წლის ევროპის ჩემპიონატის აღმოჩენა სამხრეთ ამერიკელებს ფრე – 1:1 ეთამაშა.

როგორც იცით, ისლანდიასთან პენალტი გააცუდა ლიონელ მესიმ, რის შემდეგ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს.

სამაგიეროდ, მესი მარადონამ დაიცვა.

– ზედიზედ 5 პენალტი გამიცუდებია, მაგრამ მაშინაც დიეგო არმანდო მარადონა ვიყავი! ისლანდიასთან 2 ქულა მესის პენალტის გამო არ დაგვიკარგავს. მან ყველაფერი გაიღო, რისი გაცემაც შეეძლო. მატჩის მსვლელობისას, მესი გაღიზიანებული ჩანდა. ისე, როგორც მე ვიქნებოდი მის ადგილზე. მას მუდმივად 2 მცველთან უწევდა ბრძოლა და როდესაც მათგან თავის დაღწევას ახერხებდა, მაინც არავინ იყო, ვისაც პასს მისცემდა.

მარადონამ არც სამპაოლი დაინდო:

– ვფიქრობ, აგუერო მზად არ არის 90 წუთი სათამაშოდ. დროა, სამპაოლიმ შეცვლები განახორციელოს, სანამ მუნდიალზე მონაწილეობას ვინანებთ. აგუეროს ნაცვლად, მოედანზე იგუაინია გამოსაყვანი, რომელიც მაღალ ბურთზე იბრძოლებს და მომენტებსაც შექმნის.

შეგახსენებთ, აგუერო მარადონას სიძე იყო...

წილისყრაში გამართლებული ტორპედო ნაგვიანებ გაძლიერებას იწყებს

ჩემპიონთა ლიგის წილისყრის დროს ქუთაისის ტორპედოს ძალიან გაუმართლა. სერიოზული და თავმოყვარე გუნდი ამ ყველაფერს გამოიყენებდა. თუმცა, მხოლოდ ახლა იწყებს გამოფხიზლებას, რაც 3-4 თვის წინ შეეძლო.

სანამ გამოფხიზლებამდე მივალთ, გეტყვით, რაში გაუმართლა ტორპედოს: მოგეხსენებათ, პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე, ტორპედოს მეტოქე მოლდოვური შერიფია. ცხადია, შერიფი არ მიეკუთვნება გრანდებს და თუ რამეზე პრეტენზია გაგვაჩნია, ეს ბარიერი დაძლეული უნდა იყოს, მაგრამ...

შერიფი სულაც არ არის სუსტი გუნდი, ჩვეულებრივი საშუალოზე დაბალი კლასის ევროპული გუნდის, მაგრამ ქართული კლუბებისთვის სერიოზულ მეტოქედ ითვლება. კარგი სატრანსფერო და მენეჯმენტის პოლიტიკის შედეგად, მოლდოვური კლუბის დამარცხება უტოპია სულაც არ არის.

კიდევ უფრო გაუმართლებს ტორპედოს, თუ შერიფს გამოთიშავს. ამ შემთხვევაში, ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენი გუნდი შკენდიასა (მაკედონია) და ნიუ საინთს (უელსი) შორის გამარჯვებულს დაუპირისპირდება;. არც შკენდიაა გრანდი, ხოლო უელსელებთან შეხვედრას ახლავე ნატრობდა ქუთაისური გუნდის მთავარი მწვრთნელი კახა ჩხეტიანი. მოკლედ, სწორი მიდგომით ტორპედოს შანსი აქვს, ჩემპიონთა ლიგაზე, მინიმუმ 2 ეტაპი გადალახოს.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ ტორპედომ შერიფის ბარიერი ვერ გადალახა, იმერული გუნდი ევროპალიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გადავა, სადაც ჰიკისა (ფინეთი) და ვიკინგურს (ფარერები) შორის დამარცხებულს შეხვდება, სავარაუდოდ, ვიკინგურს. აქ უკვე პრეტენზიაც არ უნდა გვქონდეს – ფარერული გუნდი აუცილებლად უნდა გავიაროთ.

თუმცა, ჯერ შერიფია, რომლისთვის მზადება უკვე დაიწყეს ქუთაისში, მაგრამ ცოტა ნაგვიანები გვგონია. ერთია, როგორც ქართულ კლუბებს სჩვევიათ, ჯერ ყველა ტრანსფერი „იმალება“. რატომ ჰგონიათ, რომ მისი გასაჯაროება ხელს შეუშლის ტორპედოს წარმატებას, ამოუცნობი ფენომენია. ასეა თუ ისე, ჩეხური მედიის ცნობით, ტორპედოში 27 წლის სლოვაკი ნახევარმცველი მარეკ ჰლინკა ითამაშებს.

სლოვაკი ნახევარმცველი ტორპედოს თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუერთდა. ჩეხური მედიის ცნობით, აწ უკვე ყოფილ გუნდს, ბანიკს, მასთან კონტრაქტის გახანგრძლივება სურდა, მაგრამ ჰლინკამ ქუთაისში თამაში არჩია. თუ რატომ, ამას თავად ფეხბურთელის კომენტარით შეიტყობთ.

მარეკ ჰლინკა:

– ბანიკის ხელმძღვანელობას ავუხსენი, რომ საქართველოდან საინტერესო შემოთავაზება მივიღე. ეს არის ჩემთვის ახალი გამოწვევა, რაზეც რთული იყო უარის თქმა. ტორპედო ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშობს. მალე 28 წლის ვხდები და ამიტომ მინდა, რაიმე ახალი ვცადო. საქართველოს ეროვნული ლიგა არ არის ისეთი, როგორიც ჩეხური, მაგრამ ადგილობრივ ჩემპიონატში კარგი ფეხბურთელები თამაშობენ და შესანიშნავი გულშემატკივრები ჰყავთ. მწვრთნელმა მითხრა, რომ ესაჭიროებოდა ფეხბურთელი, რომელიც ნახევარდაცვის ხაზს გააძლიერებდა.

ჰლინკამ გასულ სეზონში 28 მატჩი ჩაატარა ბანიკის შემადგენლობაში და 2 გოლი გაიტანა. საერთოდაც, აქამდე მხოლოდ ჩეხურ და სლოვაკურ გუნდებში უთამაშია. ბიანსკა ბისტრიცას შემდეგ იყო დუკლა, საიდანაც ორჯერ გაანათხოვრეს ტრნავის სპარტაკსა და სკალიცაში, შემდეგ კი ბანიკში გადავიდა. ჰლინკა სლოვაკეთის 21-წლამდელთა ნაკრების წევრიც იყო, თუმცა ეროვნულ გუნდში არ უთამაშია.

პოლონეთი ნიანგმა გადაყლაპა, რუსეთი მერვედფინალისკენ მიიწევს

პოლონეთი-სენეგალი 1:2

მოსკოვი. ატკრიტიე

0:1 ჩონეკი (38სკ), 0:2 ნიანგი (60), 1:2 კრიხოვიაკი (86)

პოლონეთი: შესნი, პაზდანი, პისჟეკი (ბერეჟინსკი 82), ჩონეკი, ბლასჟიკოვსკი (ბენდარეკი 46), რიბუსი, კრიხოვიაკი, ზელინსკი, გროსიცკი, ლევანდოვსკი, მილიკი (კოვნაცკი 73)

სენეგალი: კ. ნდიაე, კულიბალი, სანე, საბალი, ვაგე, ა. ნდიაე (კუიატე 87), გუიე, დიუფი (ნ'დოიე 62), ნიანგი (კონატე 75), მანე, სარი

მოულოდნელად დასრულდა მსოფლიო ჩემპიონატის პირველი წრე. პოლონეთმა სენეგალთან წააგო. აქ თითქოს გასაკვირი არაფერია, რადგან ხელწამოსაკრავი გუნდი არც აფრიკელებს ჰყავთ, მაგრამ ევროპელები ფავორიტად მიიჩნეოდნენ. თუმცა, სენეგალმა სრულად დაჩაგრა მეტოქე. 2 გოლი და დომინირება მოედანზე, პოლონეთი კი სუსტად გამოიყურებოდა, ვერაფერი მოახერხა.

სასიამოვნო სანახავი იყო, თუ როგორ იოლად მოქმედებდნენ აფრიკელები მეტოქის წინააღმდეგ. ადამ ნავალკას შეგირდებს ბოლოს შანსი კი გაუჩნდათ, მაგრამ ეს არ იქნებოდა სამართლიანი. ახლა პოლონელებს ურთულესი ამოცანა ექნებათ გადასაჭრელი, რათა ჯგუფიდან გავიდნენ.

სენეგალი კი... ეს გუნდი მეორედ არის მუნდიალზე და მისი პირველი გამოსვლა ბევრს ეხსომება – 2002 წელს მეოთხედფინალამდე მივიდნენ. შეძლებენ კი გაიმეორონ იგივე რუსეთშიც? ჯერჯერობით, ამის შანსი არის...

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – მბიაე ნიანგი

ნიანგი შეუჩერებელი იყო. მაშინაც კი, როდესაც ექიმები სამედიცინო დახმარებას უწევდნენ. შემოვარდა მოედანზე და გაიტანა. მისი გოლი გადამწყვეტი აღმოჩნდა.

რუსეთი-ეგვიპტე 3:1

სანკტ-პეტერბურგი. სანკტ-პეტერბურგი არენა

1:0 ფათჰი (47სკ), 2:0 ჩერიშევი (59), 3:0 ძიუბა (62), 3:1 სალაჰი (73პ)

რუსეთი: აკინფეევი, იგნაშევიჩი, ფერნანდესი, კუტეპოვი, ჟირკოვი (კუდრიაშოვი 84), სამედოვი, ჟირკოვი, გაზინსკი, ჩერიშევი (კუზიაევი 74), ზობნინი, გოლოვინი, ძიუბა (სმოლოვი 79)

ეგვიპტე: ელ შენავი, ფათჰი, გაბრი, ჰეგაზი, აბდულ შაფი, ელ ნენი (ვარდა 64), ჰამედი, სალაჰი, ელ საიდი, ტრეზეგე (სობჰი 68), მოჰსენი (კაჰრაბა 82)

გაგიკვირდებათ და, მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთმა უსუსტესმა გუნდმა ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო და რუსეთის ნაკრები მერვედფინალისკენ გაიწია. აღბათ, ამაში ხელსაც ვერაფერი შეუშლის.

რუსებმა ეგვიპტისა და მომო სალაჰის წინააღმდეგ შესანიშნავი მატჩი ჩაატარეს და ყველა ექსპერტს კოვზი ნაცარში ჩაუგდეს. არც სტანისლავ ჩერჩესოვი ჩანდა გენიოსი, მაგრამ მისი გეგმა გამართლებული გამოდგა. თუმცა, დიდად ამოუცნობი გეგმა არ ყოფილა – ეგვიპტელ ფეხბურთელებს უნდა გასჭირვებოდათ ბურთის სალაჰამდე მიტანა და ასეც მოხდა. მომოს სხვა ეგვიპტელ ფეხბურთელებთან შედარებით ყველაზე ნაკლები შეხება ჰქონდა ბურთთან.

ამასთან ერთად, რუსებმა კარგად იმუშავეს პრესინგზე, რომელსაც მეტოქის ნახევარზე იწყებდნენ, თუმცა, შეტევაში უჭირდათ და პირველ ტაიმში ვერაფერი ხეირიანი ვერ შექმნეს.

სამაგიეროდ, მეორე ტაიმში სამჯერ გაუტანეს მეტოქეს. პირველად იღბალიც წაეხმარათ, როდესაც აჰმედ ფატჰიმ საკუთარ კარში შეაგდო. შემდეგ კი, 3-წუთიან ინტერვალში დენის ჩერიშევმა და არტიომ ძიუბამ გაიტანეს.

ამ ემოციის ფონზე რუსებს თავბრუ დაეხვათ და ეგვიპტემ ერთი გოლი გაქვითა, მაგრამ მეტის ძალა ექტორ რაულ კუპერის გუნდს არ აღმოაჩნდა. რუსები თითქმის მერვედფინალში არიან...

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – დენის ჩერიშევი

აღბათ ბევრს ეკუთვნოდა, მაგრამ ჩერიშევი გამოსარჩევია. ვილიარეალის ფეხბურთელი პირველ მატჩშიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო, მაგრამ საუდის არაბეთთან გოლოვინი ვამჯობინეთ, ამჯერად კი აღარ „დავჩაგრეთ“. კარგად და აქტიურად მოქმედებდა თავის ფლანგზე და მნიშვნელოვანი გოლიც გაიტანა.

პორტუგალია–მაროკო 1:0

მოსკოვი. ლუჟნიკი

1:0 რონალდუ (4)

პორტუგალია: პატრისიუ, სარეში, პეპე, ფონტე, გერეირო, კარვალიუ, მოუტინიო (ად.სილვა 89), მარიო (ფერნანდეში 70), ბ.სილვა (მარტინსი 59), გუედეში, რონალდუ

მაროკო: მუნირი, დირარი, და კოსტა, ბენატია, ჰაკიმი, ელ აჰმადი (ფაირი 86), ბუსუფა, ბელანდა (გონსალესი 75), ნ.ამრაბატი, ზიეიჩი, ბუტაიდი (ელ კააბი 69)

კრიშტიანუ რონალდუმ ისევ გაიტანა და მისი გოლით ევროპის ჩემპიონებმა რუსეთის მუნდიალზე პირველი გამარჯვება მოიპოვეს. თავად პორტუგალიელს კი 4 გოლი მოუგროვდა და ბომბარდირთა დავაში დამაჯერებლად ლიდერობს.

არადა, მაროკოს ცუდად არ უთამაშია და ეს სიმპათიური გუნდი 0 ქულით უიმედო აუტსაიდერი ჩანს. აფრიკელებმა აქტიურად დაიწყეს და პორტუგალიელთა ნახევარზე ბურთიც გააკონტროლეს. ბუტაიბის თავური დარტყმა მცირე მანძილით აცდა რუი პატრისიუს კარს. საპასუხოდ, გოლი მიიღეს: ჟოაო მარიოს ჩაწოდების შემდეგ, საჯარიმოში ყველას რონალდუმ დაასწრო – 1:0.

გაშვებული გოლის შემდეგ, ფერნანდო სანტოსის გუნდმა მეტოქეს სათამაშო ინიციატივა დაუთმო და თა-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

2018, 21 ოქტომბერი, №145

პორტუგალია – მაროკო 1:0

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ვად აფრიკელთა შეცდომებს ელოდებოდა. ერთ-ერთი ასეთი შეცდომის შემდეგ კრიშტიანუს შეეძლო მორიგი გოლის გატანა, თუმცა მისი დარტყმა მცირედით აცდა მუნირ ელ კაჯუის კარს.

მაროკოელებიც საკმაოდ კარგად კომბინირებდნენ შეტევაში. განსაკუთრებით ზიეიჩი და ნორდინ ამრაბატი უნდა გამოვყოთ, თუმცა, რეალურ საგოლე მომენტამდე საქმე არ მისულა. ტაიმის მიწურულს პორტუგალიელებს მეორე გოლის გატანაც შეეძლოთ. რონალდუს პასის შემდეგ გუედეში გავიდა მეკარესთან პირის-პირ, თუმცა მეკარემ აჯობა.

ერვე რენარის გუნდმა მეორე ნახევარიც აქტიურად დაიწყო. საჯარიმოს მისადგომებიდან ბეჰლანდას დარტყმა იყო სახიფათო, თუმცა, პორ-

ტუგალიელთა მეკარე იყო დამაჯერებელი. რამდენიმე წუთში კვლავ ბეჰლანდას მართებდა გატანა, რომლის თავური დარტყმაც რუი პატრისიუმ საოცარ ნახტომში მოიგერია და საკუთარი გუნდი აშკარა გოლისგან იხსნა.

მეორე ნახევარი სრულიად აფრიკელთა უპირატესობით წარიმართა და გამოჩნდა, რომ პორტუგალიელებს დაცვის ცენტრში სერიოზული პრობლემები აქვს. განსაკუთრებით სტანდარტულების დროს პორტუგალიელ მცველებს ხშირად რჩებოდათ საჯარიმოში მაროკოელი ფეხბურთელები უყურადღებოდ. მეორე ნახევარი პორტუგალიამ ძალიან უფერული ფეხბურთი ითამაშა და ფაქტია, ასეთი დაცვით ამ გუნდს უფრო მაღალი კლასის გუნდების წინააღმდეგ ძალიან გაუჭირდება.

მაროკოელთა მცდელობების მიუხედავად, შეხვედრაში ანგარიში აღარ შეცვლილა და პორტუგალიელებმა ტურნირზე პირველი გამარჯვება მოიპოვეს.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – რუი პატრისიუ

რონალდუ, პეპე, პატრისიუ – ეს 3 ფეხბურთელი გვყავდა კანდიდატებად. ჩვენ პორტუგალიელთა მეკარე გამოვარჩიეთ, რომელსაც ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის 3 ქულაში, რომელიც მისმა გუნდმა აიღო მაროკოსთან. პატრისიუმ რამდენიმე ბურთი აიღო, ხოლო ერთი ფანტასტიკური სეივი ჰქონდა.

მოამზადა მისეულ ყორყოლიანმა

ამერიკაში ტუალეტები ჰაერში აფრინდნენ

ამერიკის კოლორადოს შტატის ქალაქ კომერს-სიტიში ძლიერმა ქარმა ქუჩის ტუალეტის კაბინები ჰაერში აიტანა.

მოულოდნელად ამოვარდნილმა ძლიერმა ქარმა ჰაერში აწია მსუბუქი საგნები. ადამიანები ძლივს იმაგრებდნენ თავს წაქცევისგან, ზოგიერთი მიწაზეც კი დაწვა, ასევე საკუთარი სხეულით ბავშვებს ეფარებოდნენ, რომ ჰაერში ატანილი საგნების დაცემისგან დაეცვათ.

ქარმა ტუალეტის კაბინები ტროტუარზე გაათრია, შემდეგ ისინი იქვე მდგომ მანქანებს მიანარცხა და ჰაერში ააგდო. გზად ძირს შიგთავსს აფრქვევდნენ. მათ მდელოს გადაუფრინეს და მოშორებით ჩამოვარნენ.

ერთ-ერთმა თვითმხილველმა ეს შემთხვევა ვიდეოზე გადაიღო, რომელიც შემდეგ ფეისბუქში განათავსა. ვიდეომ სამი მილიონი ნახვა და 24 გაზიარება მიიღო.

ბრიტანეთში მკვდარი კურდღლების სერიული მსროლელი გამოჩნდა

ბრიტანეთის ქალაქ კენტერბერიში ეძებენ უცნობ პიროვნებას, რომელიც სტუდენტური საერთო საცხოვრებლის ფანჯრებში მკვდარ კურდღლებს ყრის.

კენტის უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ ბოლო ორი კვირის განმავლობაში, რამდენიმე სტუდენტმა საკუთარ ოთახებში მკვდარი ცხოველები აღმოაჩინეს. ერთ-ერთ მათგანს კი, რომელიც ოთახში იმყოფებოდა, მკვდარი კურდღელი დაეცა. ეს ბიზნეს-ფაკულტეტის სტუდენტმა კეილინ მუარმა დაინახა, ხოლო როდესაც ის საკუთარ ოთახში დაბრუნდა, მკვდარი ცხოველი სამზარეულოს მაგიდაზე დაგდებული აღმოაჩინა.

ანალოგიური შემთხვევის გამო საერთო საცხოვრებლის სხვა მობინადრეებმაც მიმართეს საჩივრით სასწავლო დაწესებულების ადმინისტრაციას და მოსთხოვეს, რომ დამნაშავე დაადგინონ.

უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის დაცვამ პატრულირება გააძლიერა, მათ ყველა მკვდარი კურდღელი მოაგროვეს და მომხდარის შიდა გამოძიება დაიწყეს.

ჩინელმა გონდაკარგულ მძღოლს საჭე გამოსტაცა და მგზავრები გადაარჩინა

ჩინეთში ავტობუსის მგზავრმა თანამგზავრების სიცოცხლე გადაარჩინა, როდესაც მძღოლს, რომელმაც მოულოდნელად გონება დაკარგა, საჭე ხელიდან გამოსტაცა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა გამოცემამ გაავრცელა.

ინციდენტი ჩუეცზიანის პროვინციის ქალაქ ვენჩჟოუში მოხდა. ავარიის მომენტისთვის მძღოლი მანქანის საჭესთან 17 საათის განმავლობაში იჯდა, ხოლო მგზავრების უმრავლესობას (30 მგზავრი) ეძინა. როდესაც მძღოლმა გონება დაკარგა, მან საჭე მკვეთრად მოატრიალა. ეს ორმა მგზავრმა შენიშნა. ისინი მძღოლთან მიიჭრნენ და ერთ-ერთმა მამაკაცმა ავტობუსის მიმართულება გაასწორა, შემდეგ კი გზის პირისკენ მიმართა და გააჩერა. ამის შემდეგ მგზავრებმა სასწრაფო დახმარება გამოიძახეს.

აღნიშნული ინციდენტის შედეგად მგზავრებს შორის არავინ დაშავებულა. მძღოლი საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი. ექიმების თქმით, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ასი წლის კუ პატრონს გაექცა და ერთ კვირაში კილომეტრნახევარი გაიარა

დიდ ბრიტანეთში ასი წლის კუს მისი პატრონისგან გაქცევიდან ერთი კვირის თავზე მიაგნეს. ამ დროში მან კილომეტრნახევარი მანძილის გავლა მოასწრო. ის საათში ცხრა მეტრის სიჩქარით გადაადგილდებოდა.

ინციდენტი ჰემპშირის საგრაფოს ქალაქ ბლეკფილდში მოხდა. კუ, სახელად ფრედი, იპოვნა მძღოლმა, რომელმაც ქვეწარმავალს კინაღამ მანქანით გადაუარა. როდესაც მან გაზეთში განცხადება წაიკითხა, ცხოველის დაკარგვის თაობაზე, მან ის მაშინვე პატრონებს, 86 წლის ტერი ფლეპს და მის 73 წლის მეუღლე სიუს დაუბრუნა.

– სიტყვებით ვერ გადმოვცემ იმ მადლიერებას, რომლის თქმაც მსურს ფრედის გადამრჩენელისთვის. მისი დაკარგვის შემდეგ ერთი ღამეც კი არ მიძინია, – განაცხადა ფლეპმა, რომელთანაც კუ უკვე 30 წელია ცხოვრობს.

კონდუქტორმა დაკარგული ჰასკი მატარებლიდან ჩააგდო

ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსის გარეუბან ლიანტვარისში კონდუქტორმა მატარებლიდან ჩამოაგდო ჰასკის ჯიშის დაკარგული ძაღლი. ეს ინფორმაცია ფეისბუქზე საკუთარ გვერდზე ცხოველთა დახმარების ორგანიზაცია „ალუბლის ბაღმა“ გაავრცელა.

ორგანიზაციის თანამშრომლების თქმით, მომხდარის შესახებ შემთხვევის თვითმხილველმა განაცხადა. მან დაინახა, თუ როგორ აღმოჩნდა ძაღლი ბაქანზე.

– ლიანტვარისში სასტიკმა კონდუქტორმა ძაღლი მატარებლიდან ძალის გამოყენებით ჩამოაგდო და ის იქ ბედის ანაბარად მიატოვა. ცხოველს საკუთარი სახლის პოვნის საშუალება მოუსპო, – ნათქვამია ცხოველების დამცველთა განცხადებაში.

გარკვეული დროის შემდეგ მათ ლიტვის რკინიგზის წარმომადგენელი დაუკავშირდა. მან მომხდარი დაგმო და განაცხადა, რომ ასეთ შემთხვევას მის პრაქტიკაში აქამდე ადგილი არ ჰქონია.

ცხოველთა დამცველებმა ძაღლი ვილნიუსის ვეტერინარულ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ცხოველს აღმოაჩნდა მიკროჩიპი, რომელზეც მისი მფლობელის ინფორმაცია იყო განთავსებული.. ჰასკის პატრონები ადგილზე მანამდე მივიდნენ, სანამ მათ დაუკავშირდებოდნენ.

სექს-რობოტებს სექსზე უარის თქმა ასწავლეს

ხელოვნური ინტელექტის მქონე სექს-რობოტს, სახელად სამანტას, სქესობრივ აქტზე უარის თქმა ასწავლეს იმ შემთხვევისთვის, თუ ის „სათანადო განწყობაზე არ იმყოფება“.

მისი შემქმნელები ირწმუნებიან, თოჯინას სხეულზე სპეციალური მოწყობილობები აქვს დაყენებული, რომლებსაც შეუძლიათ იმის ამოცნობა, თუ რამდენად აგრესიული ან უპატივცემულოა მასზე შეხება. მისმა გამომგონებელმა, ესპანელმა სერგი სანტოსმა დიდ ბრიტანეთში მეცნიერების წინაშე გამართულ პრეზენტაციაზე მოახდინა იმის დემონსტრირება, თუ როგორ შეუძლია რობოტს სექსზე დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება.

სანტოსი ამტკიცებს, რომ მის რობოტს შეუძლია რამდენიმე რეჟიმზე გადაერთოს, მთლიანად შეცვალოს საკუთარი ქცევა: ოჯახურიდან, შეუძლია გადაერთოს რომანტიულ, ან ვნებიან სამანტაზე.

სამანტა ჯერჯერობით პროტოტიპის სახით არსებობს. სანტოსი რობოტების მასობრივი წარმოებისთვის ემზადება. ერთი სექს-რობოტის ფასი 3,6 ათასი ფუნტი სტერლინგი იქნება.

უზარმაზარმა პითონმა დიასახლისი გადაყლაპა



ინდონეზიის კუნძულ სულავესიზე დაკარგული ქალის სხეული 8 მეტრი სიგრძის პითონის სხეულში აღმოაჩინეს. ამ ინფორმაციას ადგილობრივი პრესა პოლიციაზე დაყრდნობით ავრცელებს.

ადგილობრივი პოლიციის უფროსმა განაცხადა, რომ 54 წლის დიასახლისი ვა ტიბა ხუთშაბათ საღამოს გაუჩინარდა. ის სახლიდან ერთ კილომეტრში მდებარე სიმინდის ყანის შესამოწმებლად წავიდა. მისმა ოჯახმა განგაში მას შემდეგ ატეხა, როდესაც ქალი სახლში მეორე დილასაც არ დაბრუნდა.

ვა ტიბის და მის მოსაძებნად წავიდა და მხოლოდ მის ნაკვალევს, ფანარს, ფეხსაცმელს და მაჩეტეს მიაგნო. მან დაუყოვნებლივ მიმართა დახმარებისთვის ადგილობრივებს. რამდენიმე საათის შემდეგ მათ უზარმაზარ მუცელგამობერილ პითონს მიაგნეს. მათ ქვეწარმავალი მოკლეს, მუცელი გაუფატრეს და შიგნით დაკარგული ქალის ცხედარი აღმოაჩინეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

21 ივნისისთვის

ვერძი – რთულ სიტუაციაში მეგობრის რჩევას მიენდეთ. თანადგომა და საღი მსჯელობა დღის დევიზია. **კურო** – ემოციებს ნუ აჰყვებით. სპონტანურობა, დაუფიქრებელი ლაპარაკი და სხვის საქმეში ჩარევა დღეს ნეგატიურ შედეგს გამოიღებს. **ტყუპები** – დაძაბული ხართ. ჯანმრთელობის მდგომარეობა სახარბიელო არ არის. **კირჩხიბები** – კეთილისმყოფელი დღეა მოგზაურობისა და ახალი შთაბეჭდილებებისათვის. ახალგაცნობილი ადამიანი საინტერესო ინფორმაციას მოგაწვდით. **ლომი** – დამშვიდდით და რეალობა ადეკვატურად აღიქვით. ცრუ დაპირებების გაცემისაგან თავი შეიკავეთ. **ქალწული** – უმჯობესია, თუ დაწყებული საქმის დამთავრებას სამომავლოდ არ გადადებთ. ინტუიცია გიმახვილდებათ. **სასწორი** – დღეს წვრილმანი ოჯახური პრობლემის მოგვარება მოგიწევთ. ნუ გარისკავთ. **ღრიანკალი** – დაისვენეთ, გამონახეთ დრო სულიერი სრულყოფისათვის. იყავით თვითკრიტიკული. **მშვილდოსანი** – ჰარმონიული დღეა. მშვიდად ხართ. საქმიანი პარტნიორები თქვენ სასარგებლოდ მოქმედებენ. **თხის რქა** – გრძნობებთან გამკლავება გაგიჭირდებათ. თუ საქმეს დაიწყებთ, უთუოდ ბოლომდე მიიყვანეთ. **მერწყული** – შემოქმედებითი პოტენციალი მზარდია. ახალი იდეები მოსვენებას არ გაძლევთ. ენერგია გემატებათ. **თევზები** – დღეს ცხოვრებისეულ გაკვეთილს მიიღებთ. მეტისმეტს ნუ მოინდომებთ. დღის დევიზია ზომიერება.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოხვოხელი ბ



შვეულად: 1. ჩანჩქერი აფრიკაში; 2 პოლიტიკური პარტია საქართველოში; 3. კოსოვოს დედაქალაქი; 4. ამერიკული სიგარეტი; 7. დაბა სიღნაღის რაიონში; 9. ტყემლის ერთ-ერთი ჯიში; 12. ესპანელი კინორეჟისორი; 14. ღვინის საბატონო გადასახადი ძველად საქართველოში; 15. ძუნწი, ძალზე ხელმომჭირნე ადამიანი; 17. გერმანული სპორტული ჟურნალი; 20. ქართული საესტრადო ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი.

თარაზულად: 5. მდინარე აშშ-ში; 6. საფრანგეთში მოღვაწე ქართველი კინორეჟისორი ქალი; 8. უმცროს მეთაურთა წოდება სამხედრო-საზღვაო ფლოტში; 10. სიყვარულის, სილამაზის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 11. მხარე ავსტრიაში; 13. უტყეო, ბალახოვანი ვრცელი სივრცე; 16. ავტოდრომი საფრანგეთში; 18. ინდოეთის ოფიციალური სახელმწიფო ენა; 19. ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 21. გერმანელი მწერალი, დრამატურგი; 22. თეთრეულის, ტანსაცმლის შესანახი კარადა; 23. ბუნებრივი ნაკრძალი აფხაზეთში.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. სოლისიტორი; 2. მატანი; 3. ბარნელა; 4. ლოლუა; 5. სერჟანტი; 6. ჰეკლა; 7. ცანგალა; 9. შეკელი; 13. დიეზი; 17. ქადა; 18. ლიე.

თარაზულად: 1. სუნიზმი; 3. ბუშელი; 8. პეპელა; 10. გარინჩა; 11. ოსაკა; 12. ჯანდარა; 14. ატელიე; 15. არაბიკა; 16. ტაქსა; 19. ვაზარი; 20. დიონისე; 21. ქაჯაია.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. იორდანია; 2. რაბლე; 3. ბრუკლინი; 4. ქაშერი; 7. სქური; 9. თრუსო; 12. არმსტრონგი; 14. შირაქი; 15. ისტმენი; 17. ფორნებუ; 20. ფიალა.

თარაზულად: 5. პოტომაკი; 6. ტერტერა; 8. ქულბაქი; 10. ბოროდინი; 11. ფიგარო; 13. ოპიზარი; 16. ფონეტიკა; 18. კოქტო; 19. ატენი; 21. პიექსი; 22. ანსამბლი; 23. ათაბაგი.

მიშიკო რამიშვილმა გიო ხუციშვილის უცნობი სიმღერები იპოვა

მომღერალ ოთარ რამიშვილის შვილმა მიშიკო რამიშვილმა გიო ხუციშვილის უცნობი სიმღერები იპოვა:

– მახსოვდა, რომ ჩემს არქივში უნდა ყოფილიყო აუდიო კასეტაზე გიო ხუციშვილის მიერ ნამღერი მამაჩემის სიმღერები და აღმოვაჩინე კიდეც რამდენიმე ქალაქური სიმღერა. მღერის გიო და გიტარაზე უკრავს ოთარ რამიშვილი.

ეს ჩანაწერი გაკეთდა ჩვენთან, როდესაც გიო სკოლის ასაკში დადიოდა ოთართან გიტარაზე. მაგარი ნამღერია და უნდა აღვადგინო და ყველას მოგასმენინოთ. ბავშვობიდან გულით და სულით მღეროდა. გიო, ღმერთმა ნათელში გამყოფოს.

ცნობილ ადამიანებს ია ფარულავასთან „ფარულ კონვერტში“ მისვლის ეშინიათ

მსახიობი და ტელეწამყვანი ია ფარულავა აცხადებს, რომ ცნობილ სახეებს მასთან გადაცემაში სტუმრობის ეშინიათ:

– ისევ „ფარული კონვერტის“ გარშემო... რომ იცოდეთ, როგორ ეშინიათ ამ გადაცემაში მოსვლა.

ჩვენს „ზვიოზდებს“ და „ცნობად სახეებს“ მივმართავ, განა ასეთი საშინი გადაცემაა? მათი მთავარი არგუმენტია, ეს ჩემი ფორმატი არ არის.

სიას არ დავდებ, ეგება გადაიფიქრონ. თან ისეთებიც ამბობენ უარს, ჯიბიდან რომ ისვრიან.

გია როინიშვილი: „კულტურის სამინისტროს გაუქმება ხელისუფლებას აწყობს“

მსახიობი გია როინიშვილი აცხადებს, რომ კულტურის სამინისტროს გაუქმება ხელისუფლებას აწყობს:

– კულტურის სამინისტროს გაუქმება ხელისუფლებას რომ აწყობს, გასაგებია, აი გახარებული ხელოვანების არ მესმის.

იქნებ ბიუჯეტშიც აღარ არის გათვალისწინებული ხარჯები ამ სფეროში?! და სახელოვნებო პროექტებს „აყვავებული“ ქართული ბიზნესი დააფინანსებს?!

ქეთევან კიკნაძე: „ყველამ თავის თავში ეძებოს დანაშაული“

ასე მიაჩნია მსახიობი ქეთევან კიკნაძეს. მას სჯერა, რომ სამართალი აუცილებლად იზეიმებს და ადამიანებს მოთმინებას ურჩევს:

– ზოგმა ძმობა არ იცის და ძმაკაცობა როგორ ეცოდინება. ვინც რისი ღირსიც არის, ისე იცხოვროს. ქათამმა წყალი დალია და ღმერთს ახედაო, ასეა ეს. მე ვარ და ჩემი ნაბადიო, ასე ცხოვრება არავის გამოსდგომია.

ჩვენ ხომ უკანონოდ ვცხოვრობთ, მაგრამ ღმერთს თავისი კანონები აქვს, რომელიც ადამიანებისთვის მისაღებია. არ გინდა? მაშინ ნუღარ ჩივიხარ. ყოველგვარი ამბავი, რაც ჩვენს თავზეა, ჩვენგან გამომდინარეა.

ყველამ თავის თავში ეძებოს დანაშაული, ეს, რა თქმა უნდა, ჩემი აზრით. არ შეიძლება სამართალმა არ იზეიმოს. მხოლოდ „მოთმინება და მოთმინება ჩემო თავოო.“

სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე ვენერა ჭუმბურიძე-არჯევანიძისა, შვილი ვლადიმერ ჭუმბურიძე, მამუკა არჯევანიძე, შვილიშვილი ქეთევან ჭუმბურიძე, გიორგი არჯევანიძე, მინდია არჯევანიძე, ბიძაშვილი ცირა იაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გენერალ-მაიორი

ნიკოლოზ (ბუჭა) ვლადიმერის ძე ჭუმბურიძე

დაკრძალვა: ხუთშაბათს, 21 ივნისს, 14 საათზე. მისამართი: პატარა ლილო.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა და ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას გარდაეცვალა დედა

რუსუდან სერგოს ასული ჩხეიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

გიორგი შენგელაიასთვის ბიძინა ივანიშვილს დახმარება არ მოუხსნია

„ქართუ ჯგუფის“ დირექტორმა ნიკოლოზ ჩხეტიანმა „ლიბერალის“ კითხვას წერილობით უპასუხა და განაცხადა, რომ გიორგი შენგელაიასთვის ფონდ „ქართუს“ დახმარება არ მოუხსნია:

– ცნობა გიორგი შენგელაიასთვის ფულადი დახმარების მოხსნის თაობაზე არ შეესაბამება სიმართლეს. გიორგი შენგელაია თითქმის ორი ათწლეულის განმავლობაში იღებს ფონდი „ქართუსგან“ სოლიდურ ფულად დახმარებას.

თავად რეჟისორმა კი განაცხადა, რომ ტელეკომპანია „იბერიას“ ეთერში ბიძინა ივანიშვილის გაკრიტიკების შემდეგ, მას ფონდის დირექტორი დაუკავშირდა და უთხრა, რომ დახმარება მოუხსნეს:

– ჩემი გამოსვლის მერე, სადაც მე ვთქვი, რომ ბიძინა ივანიშვილი უკითხავი კაციამეთქი, სხვა არაფერი სალანძღავი სიტყვა არ გამომიყენებია. დამირეკა ვინმე ჩხეტიანმა, ეს არის „ქართუს“ ფონდის მმართველი თუ თავმჯდომარე და მითხრა ეგეთი რამე: ბატონო გიორგი, ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ მოგხსნათ სტიპენდიიდან. პირდაპირ თქვა ჩხეტიანმა, რაც დაწერეთ, ეს ჩვენთვის მიუღებელიაო. მე ვუთხარი, ძალიან სასიამოვნოა-მეთქი. მე ვუთხარი, რომ ამას მივიღებ მხოლოდ იმის მერე, რაც ოფიციალურ წერილს გამომიგზავნით-მეთქი. ჯერჯერობით, წერილი არ მოსულა. შეიძლება, გადაიფიქრეს, რაც მე მეეჭვება იმიტომ, რომ ის საშინელი ჯიუტი კაცია. თუ რამეს უბრძანებს ვინმეს, შემსრულებლები გააკეთებენ. მე ამ ქაღალდს რომ მივიღებ, შევისწავლი ამ ფონდის დებულებას და შეიძლება არის რაღაც მითითებები. ყოველ შემთხვევაში, ამ წლის კონტრაქტს ვერ გამიუქმებს. ეს არის ყოველწლიური ხელშეკრულება, ყოველ წელს აგრძელებენ და ამას ვერ გამიუქმებს, – განუცხადა გიორგი შენგელაიამ პირველ რადიოს.

ცხინვალის თეატრს საკუთარი შენობა ექნება

მას შემდეგ, რაც მაჩაბლის სახელობის ცხინვალის სახელმწიფო თეატრი დევნილი გახდა, შემოქმედებით ჯგუფს უმძიმეს პირობებში უწევს მუშაობა.

კულტურის მინისტრის მიხეილ გიორგაძის განცხადებით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, სამინისტრომ მხარი დაუჭიროს ცხინვალის თეატრს. მიხეილ გიორგაძის უწყება უკვე მუშაობს მერიასთან, ქონების მართვის სააგენტოსთან და ეკონომიკის სამინისტროსთან, რომ პეტრიაშვილის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ შენობაში რამდენიმე კულტურული ინსტანცია შევიდეს.

ზაზა თედიაშვილი, ცხინვალის თეატრის დირექტორი:

– მგონი მართლა გვიფასდება, ამდენი წვალების, შრომის, ლოდინის შემდეგ: ჩვენს თეატრს ეღირსება ადამიანურ პირობებში ყოფნა და ცოტა წელში გამართვა! მადლობა ბატონო მინისტრო, თქვენ, მას მერე, რაც ბოლო წლების ჩვენი სპექტაკლები ნახეთ, ვიცით, რომ ჩვენ მიმართ სიმპათიით ხართ!.. ჩვენთვის სახელმწიფოსგან ასეთი ხელის გამართვა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, კიდევ ერთხელ დიდი მადლობა. სულმოუთქმელად ველოდებით.

ნინი შერმადინის გოგონა საუკეთესო მოდელებში მოხვდა

მომღერალ ნინი შერმადინის გოგონა მარიამ ციცაგი მოდელია. ის ეკა მგალობლიშვილის სამოდელო სააგენტოს „კატრინის“ წარმომადგენელია და რამდენიმე საერთაშორისო კონკურსის მონაწილეა.

ამჟამად მარიამი ბულგარეთში საერთაშორისო სამოდელო კონკურსში მონაწილეობს, რომელიც ბავშვებისთვის არის განკუთვნილი.

კონკურსში საქართველოს სახელით მონაწილეობას იღებენ სამოდელო სააგენტო „კატრინის“ მოდელები მარიამ ციცაგი და გიორგი ხინგავა. საერთაშორისო საბავშვო ჟიურიში მიწვეულნი არიან წარმატებული მოდელები ანასტასია ბაკურაძე და ქეკი ბუშიჰედი. საპატიო სტუმრები კი არიან ნინი შერმადინი და ფატუნა ბუშიჰედი. ნაციონალური დირექტორი ეკა მგალობლიშვილი.

სილამაზის კონკურსმა ფინალისტები უკვე გამოავლინა და ფინალში 20 ქვეყნიდან ტალანტით მხოლოდ 3 მონაწილე გადავიდა მხოლოდ. მათ შორის 2 საქართველოა – მარიამ ციცაგი და გიორგი ხინგავა.

გამარჯვებულებს ბულგარეთში 22 ივნისს დაასახელებენ.

ბარბარა სამხარაძეს პუტკუნების გაერთიანება სურს

„ნიჭიერის“ ერთ-ერთი სეზონის გამარჯვებული ბარბარა სამხარაძე პუტკუნებს გაერთიანებისკენ მოუწოდებს და მათ პრობლემების გადაჭრის გზებზე ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღებას სთავაზობს:

– ჭარბი წონა უკვე გლობალური „პრობლემაა“, მაგრამ ასე სულაც არ ვთვლი, ცოტა მონდომება და ყველაფერი ადვილად მიიღწევა. მთელი ღამე ვფიქრობდი იმას, თუ რით შეიძლება გამემხნევებინა პუტკუნები, რადგან ყველა ნაბიჯზე გვხვდება ბულინგი, თვითმკვლელობის მცდელობა, საკუთარი თავის სიძულვილი და მთავარი, სარკისა და სასწორის შიში.

ვიცი არის გვერდები, სადაც წონის კლების შედეგებს დებენ, მაგრამ არის გარკვეული რაოდენობა ადამიანებისა, რომლებიც ამ ყველაფერს შორიდან ადევნებენ თვალს, რა თქმა უნდა, პუტკუნებს ვგულისხმობ.

მინდა გავაკეთო ჩათი, სადაც გავაწევრიანებ მსურველ პუტკუნებს, რის შედეგადაც გავეცნობით ერთმანეთს და გავუზიარებთ პრობლემებს, ვიმსჯელებთ ამ პრობლემების გადაჭრის გზებზე.

არა მგონია ცუდი იდეა იყოს, ნელ-ნელა განვავითარებთ ყველაფერს. ერთად შევცვალოთ დამოკიდებულება პუტკუნების მიმართ!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ქალეიდოსკოპი

ბრიტანელმა წონაში დაკლების საიდუმლო გაამხილა

ბრიტანელმა ნაიჯელ ჩაპელმა ხუთ თვეში წონაში 31 კილოგრამი დაიკლო. მისი ისტორიით ერთერთი ბრიტანული გამოცემა დაინტერესდა.

მიმდინარე წლის იანვრის დასაწყისში მამაკაცის წონა 133 კილოგრამს შეადგენდა. ზედმეტი წონის გამო ის თავს „უბედურად“ გრძნობდა, თუმცა არც წონაში დასაკლებ კლუბებში სიარული უნდოდა. მამაკაცი ფიქრობდა, რომ ისინი მხოლოდ ქალებისთვის იყო განკუთვნილი.

– თუმცა აღმოჩნდა, რომ მე იქ ერთადერთი მამაკაცი არ ვიყავი და ყველანი მხარში ამომიდგნენ, – განაცხადა ჩაპელმა.

ზედმეტ წონასთან ბრძოლა ბრიტანელმა იმისთვის დაიწყო, რომ მომავალი ოპერაციისთვის მომზადებულიყო. ამჟამად ნაიჯელის წონა დაახლოვებით 100 კილოგრამს შეადგენს. გარდა ამისა, მან თავი მოუყარა თანამოაზრეებს, რომლებსაც ასევე წონაში დაკლება სურთ.

– ახლა უკვე მივხვდი, რომ დახმარების თხოვნა სისუსტის გამოვლინებას არ წარმოადგენს. პირიქით, ეს გაძლიერებს და ტონუსის შენარჩუნებაში გეხმარება, ასევე თავდაჯერებულობასაც გმატებს, – აღნიშნა ბრიტანელმა და იქვე დაამატა, რომ საკუთარი წარმატების საიდუმლოდ ფიზიკურ აქტიურობას მიიჩნევს.

ძაღლმა დაკარგული სამი წლის გოგონა გადაარჩინა

აშშ-ში დაკარგული სამი წლის გოგონა სიმინდის ყანაში იორკშირის ტერიერის წყალობით იპოვეს.

მისურის შტატის პოლიციამ დაკარგული ბავშვის რეი ელიოტის ძებნა რამდენიმე დღის წინ დაიწყო. სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მონაცემების თანახმად, გოგონა ქალაქ კულინში მდებარე სახლიდან წავიდა. მისი ძებნა მთელი ღამის მანძილზე გრძელდებოდა. ძებნის ოპერაციაში ჩაერთო შვეულმფრენი, მაგრამ ბავშვი ვერ იპოვეს.

მეორე დღეს მოხალისეთა ჯგუფმა შორიახლოს მდებარე სიმინდის ყანის გაჩხრეკა დაიწყო. გოგონა მისი ძაღლის წყალობით აღმოაჩინეს, რომელმაც ყეფა ატეხა, როდესაც მაშველების მოახლოვება იგრძნო. სამი წლის რემი ელიოტი სრულიად უვნებელი, მხოლოდ კოღოების მიერ დაკბენილი იპოვეს.

– აი, რა შეუძლია ერთიანობას. პოლიცია, ყველა მოხალისე, ვინც გამოგვეხმაურა, გაერთიანდნენ, რათა დაკარგული ბავშვი მოეძებნათ. მას მისი ერთგული ძაღლი მთელი ღამე გვერდიდან არ მოსცილებია, – დაწერეს პოლიციელებმა ტვიტერში საკუთარ გვერდზე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

21 ივნისისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი


აშშ დოლარი — 2.4561

ევრო — 2.8363

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2330

100 რუსული რუბლი — 3.8355

ამინდის პროგნოზი 21 ივნისისთვის

იკითხეთ ქართული დეტექტივი ზაფხულის დღეებში!

19 ივნისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის პირველი ტომი

ალექსანდრე იასაღაშვილი
მგლის ბილიკი
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

22 ივნისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-2 ტომი

ალექსანდრე იასაღაშვილი
შავი ვარდი
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

26 ივნისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-3 ტომი

იორამ ჩადუნელი
საზღაური
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

29 ივნისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-4 ტომი



რომან გვენცაძე
საბედისწერო გასროლა
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

3 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-5 ტომი

ჯემალ ჩახავა
ქურდები და არიფები
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

6 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-6-7 ტომი

ავთანდილ ბუხრაშვილი
ვინ მოკლა ინსპექტორი
ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

10 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-8 ტომი

მაკა სეფაშვილი
დანაშაული აღარ მოხდება
ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

იუმორი

სილამაზე ქალის სიმდიდრეა, ხოლო სიმდიდრე – მამაკაცის სილამაზეა.

●●●

მამაკაცმა ველოსიპედი გააჩერა და მაღაზიაში შევიდა. უკან დაბრუნებულს ველოსიპედი ადგილზე აღარ დახვდა. ამ დროს მასთან ლოთი მივიდა და ეუბნება:

– ორი ბოთლი ლუდი მიყიდე და გეტყვი, ვინც მოიპარა შენი ველოსიპედი.

კაცმა ლუდი უყიდა. ლოთმა ორივე ბოთლი მაშინვე გამოსცალა და მერე ყურში ჩურჩულით ეუბნება:

– ნაძირალამ!

●●●

ქუჩაში მამაკაცი გოგონას ქათინაურს ეუბნება:

– რა ლამაზი ხარ!

– ჩემთან დაწოლა გსურს?

– თანაც, ჭკვიანიც!

●●●

ქუჩაში სამგლოვიარო პროცესია მიდის. იქვე მდგომმა ლოთმა ჭირისუფლებს შორის ნაცნობი შენიშნა, მასთან მივიდა და ეუბნება:

– ბიჭო, გივი არ ხარ? რამდენი წელია არ მინახიხარ!

– მაპატიე, მაგრამ მგლოვიარე ვარ. მეუღლე გარდამეცვალა.

– რაა, დაქორწინდი?! გილოცავ!

●●●

მამაკაცი ზედა სართულზე მეზობელთან ადის და კარზე აკაკუნებს. მეზობელმა გამოხედა:

– რა მოხდა?

– შენ ხომ მკერავი ხარ?

– ვარ, მერე რა?

– რა და შენ ძაღლს უკანალს ვერ გაუკერავ, ჩემი ბინის წინ რომ ისაქმებს!

●●●

ორნი საუბრობენ. ერთი მეორეს ეკითხება:

– ბიჭო, თუ იცი, რა ჰქვია უვარგის მენიჩბეს?

– მოცურავე!

***

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– მიცვალებულთან საუბარი შეიძლება?

– შეიძლება, მხოლოდ არ გიპასუხებს.

●●●

მასწავლებელი მოსწავლეს ეკითხება:

– აბა თუ მეტყვი, საქონელი ვისთან უფრო იაფია, მწარმოებელთან თუ დილერთან?

– დარაჯთან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით

ანდრეს ინიესტა სექტემბერში ნაკრებიდან წავა

ესპანური ფეხბურთის ლეგენდა ანდრეს ინიესტა სექტემბერში ნაკრებიდან წავა. ეს ინფორმაცია ინიესტამ ოფიციალურად დაადასტურა.

ასევე ცნობილი გახდა, რომ ესპანეთის ნაკრები ამხანაგურ შეხვედრაში ბრაზილიას დაუპირისპირდება და ეს იქნება ინიესტას ბოლო მატჩი ეროვნული ნაკრების მაისურით. ინიესტა 12 წელია, ესპანეთის ნაკრების ღირსებას იცავს და ამ ხნის მანძილზე მან ნაკრებთან ერთად უამრავი შეხვედრა ჩაატარა.

ყველაზე დასამახსოვრებელი 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი იყო, როდესაც ინიესტამ ერთადერთი გოლი გაიტანა და ესპანელებს ნანატრი ტიტული აჩუქა.

ნეიმარი კოსტა რიკის წინააღმდეგ ითამაშებს

ბრაზილიის ნაკრების ლიდერი ნეიმარი სხვა ფეხბურთელებთან ერთად ვარჯიშობს და ის კოსტა რიკის წინააღმდეგ ითამაშებს.

ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ნეიმარს ტრავმა ჰქონდა, სიმართლე არ აღმოჩნდა. შვეიცარიასთან მატჩის დროს ნეიმარს ძალიან უხეშად ეთამაშებოდნენ და გაჩნდა ეჭვი, რომ მან ტრავმა მიიღო, მაგრამ ბრაზილიელებისთვის საბედნიეროდ ეს სიმართლე არ აღმოჩნდა. კოსტა რიკასთან თამაში საკმაოდ მნიშვნელოვანია და ბრაზილიის ნაკრებს მხოლოდ გამარჯვება აძლევს ხელს.

შეგახსენებთ, რომ ბრაზილიელებმა შვეიცარიის დამარცხება ვერ მოახერხეს.

მარკუს რეშფორდი: „ინგლისი შეთამაშებული და შეკრული გუნდია“

ინგლისის ნაკრების ფორვარდმა მარკუს რეშფორდმა ინგლისელების შანსებზე ისაუბრა და თქვა, რომ მათ მსოფლიო ჩემპიონატის მოგება შეუძლიათ.

რეშფორდის თქმით, ფეხბურთელებს ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა აქვთ და ამის გამო ისინი მოედანზე უფრო ძლიერდებიან.

– ჩვენ ერთი მიზნისთვის ვიბრძვით და ეს მიზანი მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებაა. ინგლისის ნაკრები ასეთი შეკრული არასდროს ყოფილა და ჩვენ მხოლოდ პირველი ადგილი გვაინტერესებს. ამისთვის ბევრი შრომაა საჭირო და ჩვენ მზად ვართ, – განაცხადა მარკუს რეშფორდმა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჩინეთში ვიდეოზე პირველად გადაიღეს „ჯადოსნური კურდღელი“

ჩინეთში პირველად მოხერხდა ვიდეოზე ილისური პიკასის გადაღება, უიშვიათესი ცხოველის, რომელიც კურდღლისებრთა რიგს განეკუთვნება და რომელსაც „ჯადოსნური კურდღელი“ შეარქვეს.

ეს სახეობა მხოლოდ 1983 წელს აღმოაჩინეს, მისი არსებობა 1985 წელს დაადასტურეს, ამის შემდეგ კი ოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში არავის უნახავს. ილისური პიკასი ფოტოსურათზე პირველად 2014 წელს მოხვდა, რის შემდეგაც ცხოველის სავარაუდო საბინადრო ადგილებში ვიდეოხაფანგები განათავსეს. ერთ-ერთმა მათგანმა უიშვიათესი ცხოველი დააფიქსირა და ვიდეო იუთუბიზე იქნა განთავსებული.

აღნიშნული კადრები მეცნიერებს დაეხმარება მეტი შეიტყონ საიდუმლოებით მოცულ ცხოველზე, რომელიც ბუნებაში პანდაზე გაცილებით დიდ იშვიათობას წარმოადგენს. ილისური პიკასი მხოლოდ ჩინეთის სინცზიანის პროვინციის ტიან-შანის მთიან მასივში გვხვდება. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ მათი პოპულაცია ორიათას ცხოველზე ნაკლებს შეადგენს. მისი სხეულის სიგრძე დაახლოებით 20 სანტიმეტრია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ცილისწამება, მონაჭორი ვინმეს სახელის გასატეხად; 2. ფილიპინების ყველაზე დიდი კუნძული; 3. რუსეთში მოღვაწე ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 4. ნადირთა მფარველი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 5. მსჯელობის საგანი; 6. თბილი მოსასხამი; 7. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 9. იაპონური მაფია; 13. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი; 17. სასულე ორკესტრის მიერ შესრულებული მუსიკალური მისალმება; 18. ბუნებრივი წყალსაცავი.

თარაზულად: 1. ზღვისპირა კურორტი ლატვიაში; 3. სუფრის ხელმძღვანელი; 8. თხელი ფურცლოვანი რკინა; 10. ცხენოსნობის ერთ-ერთი დისციპლინა; 11. ხრახნული კონვეიერი; 12. შუამავალი სავაჭრო გარიგებაში; 14. სულხან-საბა ორბელიანის მშობლიური სოფელი; 15. ველური ვაზი; 16. ჩეხური საავტომობილო კომპანია; 19. ვულკანი იტალიაში; 20. მხარე გერმანიაში; 21. სია რაიმეს მიღება-გაცემის შესახებ.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა